სპორტიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 1 მარტი 2001 №35 (1308) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნულოვანი ვარიანტი ქართული ფეხბურთისთვის

ენდე დანდის!

გუშინ კიოლნიდან დანდიში ჩასული ზურაბ ხიზანიშვილი შოტლანდიელებს დღეს დაელაპარაკება

ეი, პრემიერ, პასი!

უნგრეთის პრემიერ-მინისტრი მოქმედი ფეხბურთელია

საქართველო პრასნოდარში გაერთიანდება

ორი ბორჯღალოსანი კვლავ უვიზოდაა

საქონელმა ექვს ერს ურქინა

უელსის და ირლანდიის მატჩი თურქულმა ჩაშალა

აქედანაც თუ ვერ გავედით...

პორტუგალიამ რუსთავის „აზოტი“ რამაზ გოგობერიშვილით გააძლიერა



საქართველოს ჩემპიონატი — უმაღლესი ლიგა — მეორე წრე

18 ტური

28 თებერვალი, ოთხშაბათი

იბერია	0
თსუ	0
დილა	0
სიონი	1
კოლხეთი	0
დინამო	0
ვიტ ჯორჯია	0
გორდა	0
ლოკომოტივი	1
ბათუმი	0

ლოკომოტივი	18	15	1	2	33:7	46
ტორპედო	17	12	3	2	28:6	39
დინამო	18	12	2	4	43:17	38
ვიტ ჯორჯია	18	9	6	3	26:12	33
კოლხეთი	18	8	4	6	19:14	28
მერანი	17	6	6	5	17:17	24
ბათუმი	18	6	3	9	22:25	21
სიონი	18	5	4	9	13:27	19
გორდა	18	3	8	7	13:22	17
თსუ	18	4	3	11	17:32	15
დილა	18	4	3	11	13:33	15
იბერია	18	0	3	15	3:35	3

ბადრი კეთილაძის ფოტო

გუშინ ვაკეში: „ლოკომოტივი“ — „ბათუმი“ 1:0.
ალექსანდრე კაიდარაშვილი (ბურთით) მეგოლე აქვსენტი გილაურის მისალოცად მიიჩქარის

ქართულ პოლიტიკაში ჯერაც ჩაუმცხრალი „ნულოვანი ვარიანტის“ თემას თავისებურად გამოეხმაურა გუშინ განახლებული ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი.

ათიდან რვა გუნდმა თითოს გატანაც ვერ მოახერხა „ლოკომოტივის“ თუ „სიონის“ დარად და, შესაბამისად, ორი მთლად მშრალზე დარჩა, ოთხმა კი ნულოვანი ფრით თითო ქულა შეიმატა.

უკლებლივ ყველა მატჩმა უკმაყოფილების გრძნობა შვა, ახალშეკრებაგავლილ გუნდებს პირველ მატჩებშიც არ უცდიათ ტემპის აჩქარება.

ერთადერთი სიახლე „26 მაისის“ განახლებული სტადიონია, რომელსაც საბოლოოდ გაწყობამდე არცთუ ცოტა უკლია, მაგრამ ქართული ფეხბურთის ნულოვანი მდგომარეობიდან დაძვრის პირველი და იშვიათი რეალური ნიშანია.

მართალია, საგაზაფხულო „ლოკომოტივი“ ზამთრამდელს გვარიანად ჩამოუვარდება და კარგი მოედნის საკადრისად ვერ თამაშობს, მაგრამ მძიმე, თუმც კი საშქულიან სტარტს, ალბათ, ხარისხიც მალე მოჰყვება.

იმედია, სხვათა ცოდვებს გამოისყიდის ჩემპიონი, რომელსაც ჯერ არ გამოუგაზაფხულებია. ქუთაისის „ტორპედო“ გუშინ თბილისში „შერანს“ უნდა სწყვეოდა, მაგრამ ეს მატჩი რვა ტორპედოელის კიოლნში სტუმრობის გამო გაურკვეველი ვადით გადაიდო.

გუშინდელი მატჩების რეპორტაჟები იხილეთ მესამე, მეოთხე და მეხუთე გვერდებზე

AP რომიდან

ერნან კრესპომ ვალერიო ბერტოტო წააქცია, არგენტინამ — იტალია

ჩვენები უჩვენოდ

იტალია რომში, „სტადიო ოლიმპიკოზე“ არგენტინასთან 1:2 დამარცხდა.

რუმინეთმა კვიპროსის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის ფინალში ლიტვას 3:0 მოუგო.

უნგრეთმა სტუმრად ბოსნიასთან 1:1 ითამაშა.

გუშინ კიდევ ბევრი ამხანაგური და ოფიციალური მატჩი გაიმართა. იტალია, რუმინეთი, ლიტვა და უნგრეთი კი იმიტომ გამოვარჩიეთ, რომ ისინი მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის საგზურებისთვის ბრძოლაში ჩვენი ნაკრების მეტოქეები არიან.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ შვედ სვენ გორან ერიქსონის მიერ დამოძღვრილმა ინგლისმა ესპანეთ[illegible]

ბელგიამ სან-მარინოს...

ჰოლანდიამ თურქეთს...

თუმცა, გუშინ გამართული ყ[illegible] მეორე გვერდზე იხილეთ:

ჩვენი მეტოქეები

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

ამხანაგური მატჩები

იტალია 1:2 ბრაზილია

0:1 კილი გონსალესი (36), 1:1 ფიორე (26), 1:2 კრესპო (49)

იტალია: ბუფონი, კანავარო, პიერინი, მალდინი (ბერტოტო 53), პესოტო (კოკო 70), ტაკინარდი, ტომაზი (დი ბიაჯო 76), კ. ძენონი, ფიორე (ტოტი 53), ვიერი (დელვეკიო 71), ფ. ინძაგი

მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი

ბრაზილია: ბურგოსი, სამუელი, ბიალა (პოჩეტინინო 81), ვივასი, სორინი, ძანეტი, სიმეონე, ვერონი (ხესაინი 74), ბიმარი (გალიარდო 81), კილი გონსალესი (გუსტავო ლოპესი 70), კრესპო (ხულიო კრუზი 90)

მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)

20 000 მაყურებელი

ბოსნია 1:1 უნგრეთი

0:1 პორვატი (13), 1:1 ბარბარესი (22)

ბოსნია: გუსო (მუჰიშნოვიჩი 46), მუსინი, აჯეგი (მიშკოვიჩი 46; მედვიდი 82), ბუჯოროვიჩი, პაპაცი, რიზვანი, აკბაროვიჩი, მუჰიშნი (მუჰარემოვიჩი 66), ბარბარესი (იოლდიჩი 83), ბოტა (დურო 75), ტოპიჩი (ბრკიჩი 61)

უნგრეთი: ბაბოში, კოროსში, იუჰარი, შებოკი, ჰალმაი, ფეპერი (დომბი 72), მირიუტა, პორვატი, ტოტი, ბოდნარი, ჰამარი (ლისტეში 66)

მწვრთნელი: ბერტალან ბიჩეი

მსაჯი: საშო ლაზარევსკი (მაკედონია)

9 000 მაყურებელი

ახალგაზრდულები

ბოსნია 1:1 უნგრეთი

0:1 დერა (18), 1:1 შკორო (25)

კვიპროსის ოთხნია ტურნირი

ფინალი

რუმინეთი 3:0 ლიტვა

1:0, 2:0 განია (12, 40), 3:0 კოდრია (57)

რუმინეთი: სტელია, კონტრა, პროდანი, ფილიპესკუ (მოლდოვანი 61), გალკა, რადოი, ჯოანე (კოდრია 46), კიკუ (დ. მუნტიანუ 46), განია, სტოიკა, მ. ნიკულაე (ჩობოტარიუ 61)

მწვრთნელი: ლადისლაუ ბოლონი

ლიტვა: ვ. ფუტაუტასი (ლეფსი 75), გრაციუნასი, ფეირგედაუსკასი (რაგანაუსკასი 46), იოკუბასი, გლეკიკასი, ვენცევიჩიუსი (დედურა 46), რ. ფუტაუტასი, მიკალაიუნასი, პოშკუსი, ფომენკა (დანილევიჩუსი 38), იანკაუსკასი

მწვრთნელი: ბენიამინას ზელკიავიჩუსი

მსაჯი: კოსტას კაპიტანისი (კვიპროსი)

1 500 მაყურებელი

REUTERS ნაკადზიდან

რუმინეთი — ლიტვა 3:0. საქართველოს ნაკრების მეტოქეთაგან კვიპროსზე ალინ სტოიკამ (№10) და მისმა რუმინელმა თანაგუნდელებმა იმარჯვეს

მატჩი მესამე ადგილისთვის

კვიპროსი 4:3დ.დ. (3:3) უკრაინა

0:1 მელაშჩენკო (9), 1:1 ოკასი (17), 2:1 ენგომიტისი (39), 2:2, 2:3 ვორობეი (57, 63), 3:3 მალეკოსი (81), 4:3 ხარალამბუსი (104)

კვიპროსი: ს. კონსტანტინუ, კონდეისი, მელანარკიტისი, ფილიპუ, მიხაელი (პანაიოტუ 82), პუნასი (ს. ხარალამბუსი 68), ენგომიტისი (თეოდორუ 46), მ. ხრისტოდოლუ (თემისტოკლუსი 80), ოკასი, მალეკოსი, მ. კონსტანტინუ (აგათოკლუსი 46)

უკრაინა: ლეფეიკი, გრანოვსკი, სნიტკო, ნესმაჩნი, ვაშჩუკი, პარფიონოვი, ლისიცკი (ტიმოშჩუკი 61), პრიზეტკო (კარდაში 42), იაშკინი, ვორობეი, მელაშჩენკო

მსაჯი: ანდრეას გეორგიუ (კვიპროსი)

1 000 მაყურებელი

შოტლანდია

თასის 1/8 ფინალი. გადათამაშება

პილმარნოკი — ინვერნესი (1)

მატჩი 28-ე წუთზე 0:0-ზე ჩაითშალა

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მრაბი

კონკაკაფი

კა 1:0 ტრინიდადი და ტობაგო

გამ[illegible] (15)

ოთხშაბა[illegible]

პარასკე[illegible]

გერმანია

II ბუნდესლიგა

გადადებული მატჩები

ალემანია 3:0 კიკერსი

1:0 დანე (51), 2:0, 3:0 ქსიე (67, 70)

მაინცი 1:0 დუისბურგი

1:0 ბაბაცი (29)

ზანქტ პაული — როტლინგენი

დღეს გაიმართება

ამხანაგური მატჩები

ინგლისი 3:0 ესპანეთი

1:0 ბარმბი (38), 2:0 ჰესკი (56), 3:0 ეჰიოგუ (70)

ინგლისი: ჯეიმსი (მარტინი 46), ფ. ნევილი (გ. ნევილი 77), ს. კემბერლი, რ. ფერდინანდი (ბოლი 46), კ. პაუელი (ეჰიოგუ 46), ბარმბი, ბე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს უმაღლესი ლიგა — ჩემპიონატი 12 — მეორე ნრე

18 ტური

შენდება

სტადიონი თუ გუნდი? ჩხაიძე თუ ნოდია?

წლეულს ქართულ ფეხბურთს ვაკეში ახალსახლობა ელის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი
28 თებერვალი
15 საათი
26 მაისი
1 500 (ტევადობა 35 000)

ლოკომოტივი 1:0 ბათუმი

10 გილაური (38)

ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, სალუქვაძე, ცხადაძე, კვარაცხელია, ქიქვეიშვილი, კაიდარაშვილი (ბაქრაძე 72), გოგიჩაიშვილი, გილაური (რუსია 46), ანჩაბაძე, ზ. ლაცაბიძე

სათადარიგონი: ასლანაძე, გ. შენგელია, გოგნაძე, რ. ონიანი, პარამონოვი

ბათუმი: ქანტურია, მახარაძე, მინდაძე, პაპიძე, ტყავაძე, გელა ქორიძე, ლლონტი (დარჩიძე 55), გველესიანი (რომანაძე 57), მაჭუტაძე, ტულუში, აფხაზავა

სათადარიგონი: ბალაძე, ბაჩილავა, ქუთათელა, ჩიჩუა, გულეფიშვილი

მაყურებლები: ქორიძე (52)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; მ. ელიკაშვილი, ზ. დოლიძე (ყველა თბილისი); ზ. ანიაშვილი (ტორი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

სოლომონ გულისაშვილი

ექსკლუზივი „ბათუმელებისა“ — ალექსანდრე ბალაშვილი ბურთს ერევა ლოკომოტიველ ალექსანდრ ონიანს

აქვსენტი გილაური გუშინ ქართული ფეხბურთის ისტორიაში შევიდა. 38-ე წუთზე, ასე, 20 მეტრიდან მარცხენა კუთხეში დაარტყა და მეკარე გრიგოლ ჭანტურიას თავგანწირული ნახტომი ამაო გამოდგა. ეს იყო ვაკის მშენებარე სტადიონზე გატანილი პირველი ოფიციალური გოლი, რომლითაც „ლოკომოტივმა“ „ბათუმს“ მოუგო.

სტადიონის „გახსნა“, შინაურული გამოდგა. გარშემო ნაცნობი სახეები ირეოდნენ. უამრავი ძველი გულშემატკივარი, ცხადია, რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარე აკაკი ჩხაიძე, ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები, „ტორპედოსთან“ თამაშგადადებული „მერანის“ ფეხბურთელები და ჟურნალისტები. ყველა ნასიამოვნები იყო იმით, რაც ვაკეში კეთდება. დღევანდელ საქართველოში ასეთი კოხტა სტადიონის შენება, მართლაც გამორჩეული ამბავია. ტრიბუნების პარალელურად, ალა-ალაგ, მოპირკეთებაც დაუწყიათ. თამაშს თან ახლდა ამწეების ღრჭიალი და ელექტროხერხების ბზუილი. შენება არ ჩერდება და თურმე ძალიან უნდათ, ოფიციალური გახსნა ივნისში, იტალიასთან შესარჩევ მატჩს დაამთხვიონ.

მინდორიც ჩინებულია. სიმწვანე აკლია, მაგრამ ისეთი სწორია, ბურთმა 20-25 მეტრი რომ ისრიალოს, ერთს არ ახტება. არადა, ჯერ კიდევ შარშან, ყველაფერი რაღაც ანტიკურ ნანგრევებს უფრო წააგავდა, ვიდრე ჩვენი დროის ნაგებობას.

„ლოკომოტივის“ მოთელვას ოთარ კორღალიძე უძღვებოდა. მოვარჯიშეთ შორის ერთი მაშინვე გამოვარჩიეთ — საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტანი კახა ცხადაძე, რომელიც საჩემპიონატო განაცხადში წინა საღამოს შეეყვანათ. რკინიგზელთა მეექვსე ნომერმა ეროვნულ ჩემპიონატში თითქმის ათი წლის მერე პირველად ითამაშა... ბოლოს „დინამოს“ მაისურა კახას 1991 წლის 30 მაისს „სამგურალთან“ საშინაო მატჩში ეცვა. გუშინ კი ითამაშა და მწვრთნელ-ფეხბურთელთა ქების სიტყვებიც მოისმინა.

მერე გივი ნოდიაც გამოჩნდა. კაცი, რომელსაც ქართული გუნდი მინდორზე ექვსწლიანი შესვენების შემდეგ უნდა გაეყვანა. ნერვიულობდა და ეს ბუნებრივიც იყო...

ნოდია „ლოკომოტივში“ იანვარში მივიდა და ახალი გუნდის შენება დაიწყო. ამ ზამთარს გუნდიდან 11(!) ფეხბურთელი წავიდა. დაიფანტა მთელი ნაქები დაცვა: ხიზანიშვილი შოტლანდიაშია, სილაგაძე, აბრამიძე და თოდუა კი — „ტორპედოში“. თანაც, ნოდიას შემტევი ფეხბურთი უყვარს და ამიტომ ახალი „ლოკომოტივის“ ტაქტიკურმა განლაგებამ განსაკუთრებით დაგვაინტერესა. მწვრთნელმა თავისი ჩვეული 3-5-2 აირჩია. დაცვაში მარცხნივ ლაცაბიძე თამაშობდა, შუაში — ცხადაძე, მარჯვნივ — სალუქვაძე. საყრდენად ჭიჭვეიშვილი გაეშწესებინათ. ნახევარდაცვის ცენტრში კვარაცხელია იღვწოდა, თავდამსხმელების უკან — ანჩაბაძე, მარცხენა ფრთას გილაური უვლიდა, მარჯვენას — ბალაშვილი. წინ კაიდარაშვილი და გოგიჩაშვილი ირჯებოდნენ.

მეორე ტაიმში გილაურის ნაცვლად გამოსული რუსია, ჯერ გილაურისვე ამოცანას შეეჭიდა, მერე კი მარჯვნივ გადაინაცვლა და სწრაფი რეიდებით სტუმრთა მცველები არაერთხელ დააწიოკა.

ბათუმი კონტრშეტევებით ფონს გასვლას ცდილობდა. თავდასხმაში მაჭუტაძე და აფხაზავა ჰყავდათ, მათ ტულუშიც ხშირად ეხმარებოდა. სწორედ ამ სამეულის მომზადებული იყო ის კომბინაცია, მე-15 წუთზე ტულუშის სახიფათო დარტყმით რომ დამთავრდა. მერე ანჩაბაძეს და გოგიჩაიშვილს უნდა გაეტანათ, მაგრამ მიზანს ოდნავ ააცილეს. 38-ე წუთზე კი 21 წლის გილაურმა ის გოლი გაატანა, ისტორიული რომ გამოდგა.

დაიწყო თუ არა მეორე ტაიმი, ახალგამოსულმა რუსიამ მარცხნიდან ქორიძეს ჩაუქროლა და დაბალი ჩააწოდა, ბურთი კარის ხაზს გაუყვა, დამმატებელი კი არავინ გამოჩნდა.

მერე მასპინძლებმა უკან დაიხიეს და თამაში კონტრდარტყმებზე ააგეს. გამოსდიოდათ კიდეც, განსაკუთრებით ბოლო 7-10 წუთში, გოგიჩაიშვილსა და ანჩაბაძეს რამდენჯერმე გატანაც მართებდათ, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

ასეთი იყო გივი ნოდიას დებრუნება.

მატჩის შემდეგ

ასლან ბალაძე („ბათუმის“ მთავარი მწვრთნელი). ჯერ ბატონ გივის მივულოცავ პირველ გამარჯვებას. ის არა მარტო კარგი მწვრთნელი, ჩინებული ადამიანიცაა. თავის დროზე მეც მწვრთნიდა. ცოტა ხუმრობით რომ ვთქვათ, ერთადერთი კაცია, ვინც საქართველოს ნაკრების მაისურა ჩამაცვა. მისგან დღესაც ბევრს ვსწავლობ. „ლოკომოტივს“ კი შემდგომ წარმატებებს ვუსურვებ.

გუნდის თამაშით უკმაყოფილო ვარ. ცხადია, ვიცოდით, ვისთანაც ვთამაშობდით, „ლოკომოტივი“ ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბია, ჩვენ კი ჩამოყალიბების პროცესში ვართ, მაგრამ მაინც, შეგვეძლო უკეთ გვეთამაშა.

შეთამაშებას დრო სჭირდება. ვეტერანები: მაჭუტაძე, ტულუში და ივანე მახარაძე შვიდი თვის უთამაშებლები იყვნენ და ფორმის აღდგენა გაუჭირდათ, თუმცა გამოცდილები არიან და თავისას მაიც მიაღწიეს. დღეს კი, ტულუშისა და მახარაძისგან მეტს ველოდი.

შეამჩნევდით, დარჩიძე ძალიან საინტერესო ახალგაზრდაა, ცოტა „ხასიათის“ ფეხბურთელია, მაგრამ უდავოდ ნიჭიერია. რომანაძეც კარგად შევიდა შეცვლაზე. მოკლედ, სამუშაო ბევრი გვაქვს, მაგრამ ნელ-ნელა ჩამოვყალიბდებით.

— მწვრთნელის თვალით ცხადაძის თამაშს როგორ შეაფასებთ?

— როცა დავინახე, ცოტა ჟრუანტელმაც დამიარა. მერე, ერთ ეპიზოდში რომ წაიქცა, შეეშინდა, კიდევ ხომ არ დაშავდა მეთქი. კახა ნამდვილი პროფესიონალია და თუ ფორმა აღიდგინა, არა მარტო „ლოკომოტივს“, მთელ ქართულ ფეხბურთს ძალიან წაადგება.

გივი ნოდია („ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელი). პირველ თამაშს ყოველთვის თავისებური ნერვიულობა ახლავს, ამიტომ, იმის მიუხედავად, რომ შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოვავლინეთ, კმაყოფილი ვარ. განსაკუთრებით გამოვარჩევ ცხადაძისა და ცენტრალური მცველების კარგ თამაშს.

რამდენიმე კონტრშეტევა სამაგალითო გამოგვივიდა და ვეცდებით, შემდგომში ასეთი მომენტები გამოვიყენოთ. აი, თუნდაც მეორე ტაიმის დასაწყისში, როცა რუსია გავიყვანეთ მინდორზე. მის გარღვევას რომ მეორე გოლი მოჰყოლოდა, თამაში სხვაგვარად გაგრძელდებოდა.

კაიდარაშვილზეც გეტყვით. ალეკო კარგა ხნის უთამაშებელი გახლდათ და ცოტა გაუჭირდა, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ. მალე დათვაძე და შელიაც დაგვემატებიან და უფრო მოვღონიერდებით. მათი ჩვენთან გადმოსვლა უკვე გადაწყვეტილია.

მოკლედ, „ლოკომოტივს“ დიდი პოტენციალი აქვს. შესანიშნავი სტადიონი შენდება, ფინანსური საკითხები დროულად გვარდება და ფეხბურთელებს ყველა პირობა აქვთ, მხოლოდ ვარჯიშზე და ფეხბურთზე იფიქრონ.

ბაბრი ძულელაძის ფოტო

კახა გოგიჩაიშვილმა (მარცხნივ) ბარე ორი ბათუმელი გააწვალა

ბაბრი ძულელაძის ფოტო

მშენებლები: გივი ნოდია და აკაკი ჩხაიძე

ვიტელი თენგიზ კობიაშვილი ამირან კედელაშვილს კედელივით აესვეტა

ფეხბურთი მეორე ტაიმში

ფოთი
28 თებერვალი
15 საათი
„ფაზისი"
500 (ტევადობა 3 000)

ვიტ ჯორჯია 0:0 გორდა

ვიტ ჯორჯია: მერლანი, საჯაია, ქანყოტაძე, კობიაშვილი, ვ. გოჩიაშვილი, გოგობერიშვილი, დიღმელაშვილი, ლ. ნოზაძე, ვიფიანი (წულუკიძე 58), გიორგი ქორიძე (ადამია 72), ლ. მელქაძე
სათადარიგო: ტურაძე, ჯ. მუჯირი, დ. დოლიძე, ი. საყაბურიძე, ინნ ჯირველი
გორდა: ბეჟიაშვილი, კვეტაშვილი, დ. ბერიძე, ლ. სილაგაძე, გელაძე, მელაძე (კიტეიშვილი 80), პატარიძე, კახანაძე (მიშველიძე 46), კ. ალადაშვილი, ჯელაძე, ჯოელი
სათადარიგო: ბეჟური, გ. გ. მიქაძე, სოხაძე, ა. ბურნაძე
გასწორებლები: სილაგაძე (26), ბერიძე (48), ფიფიანი (51), საჯაია (67), მელაძე (62)
მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); კ. მესხი (ზუგდიდი)
სფფშ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

მამუკა კვანტალიანი მცხეთიდან

იტალიაში, საუკეთესო პირობებში ნამზადებმა „ვიტ ჯორჯიამ" გუშინ მცხეთაში ვერაფერი დააკლო სანახევრო შეკრებამოვლილ „გორდას". უგოლო ფრე თითქოს ლოგიკური შედეგი იყო, მაგრამ „არმაზზე" შეკრებილებს არც ის გაგვიკვირდებოდა, რუსთაველებს შინ სამი ქულა წაეღოთ.

...მკვდარი თამაში იყო, უინტერესო, ულიმღამო და შეკდომებით აღსავსე. მთელ თამაშში სამად სამი სახიფათო მომენტი შეიქმნა და ისიც მეორე ტაიმში. ერთხელ, მასპინძელ ნოზაძეს შეეძლო გატანა, ორჯერ — სტუმარ ჯელაძეს.

ნოზაძემ გოჩაშვილის გადაცემის შემდეგ ბურთი თავით გადაგზავნა მეტოქის კარისკენ, მაგრამ ბეჟიაშვილმა ივარგა. არმაზმა კი ჯერ მერლანთან პირისპირ გასულმა გააცუდა საბოლოო დარტყმა, ხოლო მეორედ მეკარეს საჰაერო დუელისას დაასწრო, მაგრამ ბურთი კარს ასცდა.

საგოლე მომენტებით თუ ვიმსჯელებთ, მაშინ „გორდას" მოუგია. რუსთაველები თამაშის შემდეგ სიხარულს არც მალავდნენ. მათ ხომ ქულა აართვეს ვიცე-ჩემპიონებს.

მთელი 90 წუთი „ვიტ ჯორჯია" უპირატესობას კი ფლობდა, მაგრამ ვეტერინარებმა ვერც ძალისმიერ ბრძოლაში იძალეს და საჭირო დროს ვერც ტემპს უმატეს.

სილაღე და სიხალისე აკლდათ ვიტელებს, მინდორზე ძმიმედ მოძრაობდნენ. ამას საფეხბურთო ენაზე გადაღლას ეძახიან. სწორედ ეს არის ძირითადი მიზეზი ვიცე-ჩემპიონთა უფერული თამაშისა. მართალია, ყოველივე სუბიექტური აზრია, მაგრამ არა მგონია, ვიტელებს სხვა პრობლემა აწუხებდეთ.

თემურ მახარაძემ დღეისთვის საუკეთესო შემადგენლობა გაიყვანა სათამაშოდ. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, თუმც გოგობერიშვილის და საჯაიას მარცხენაფლანგელობა ცოტა მოულოდნელი გამოდგა.

გია გეგუჩაძეს თამაშის წინა დღეს ორი ფეხბურთელი დააკლდა. ბურნაძეს კოჭი, ხოლო მეტრეველს მუხლი უღრძივა. აქცენტიც უფრო დაცვაზე გააკეთეს რუსთაველებმა და ჩანაფიქრიც შეასრულეს.

— რთული თამაში იყო, გვითხრა ნამატჩევს „გორდას" თავკაცმა გია გეგუჩაძემ. ბიჭების გარჯით კმაყოფილი ვარ. შესვენებისას გასახდელში ჩემს ფეხბურთელებს ვუთხარი — მთელი ტაიმი ჩაშლაზე ვითამაშეთ და გამოგვივიდა, დროა, ფეხბურთი გავაჩაღოთ-მეთქი. დავალება ნაწილობრივ შეასრულეს კიდეც რომ არა გარკვეული საშემსრულებლო ხარვეზები, ალბათ, შედეგიც სხვა იქნებოდა.

გეგუჩაძის მოწინააღმდეგე კოლეგას საფიქრალი სულ სხვა ჰქონდა. მახარაძე თავისთვის ჩაფიქრებულიყო და დღეებს თითებზე ითვლიდა. იცის გამოცდილმა მწვრთნელმა, რაც სჭირს მის გუნდს და რა დროს სჭირდება ძალების აღდგენას, თუმც ისიც სათქმელია, რომ ამის გათვალისწინება იტალიური შეკრების დროსაც შეიძლებოდა.

ჩემი აზრით, „ვიტ ჯორჯიას" ათიოდ დღე კიდევ დასჭირდება... მერე ძალაც დაბრუნდება, სილაღეც და თამაშის ხალისიც. მანამდე კი, კიდევ ერთი მატჩია, საკმაოდ პრინციპული, სტუმრად „ლოკომოტივთან".

რაც შეეხება „გორდას", უკანა ხაზში ყველაფერი რიგზე უნდა იყოს, თუმც ნახევარდაცვასა და თავდასხმას უფრო მეტი მოძრაობა და მიზანმიმართულობა ნამდვილად არ აწყენდა.

ჩემპიონატი განახლდა, ერთი თამაშის შემხედვარე, საბოლოო დასკვნების გამოტანაც არასწორი იქნება. წინ კიდევ ოთხი ტურია, მერე ქულები განახევრდება და ღმერთმა იცის, გაზაფხულზე რა მოხდება. დასაწყისი კი ნამდვილად ვერ გამოდგა რიგიანი.

დინამო ჭაბუკებითაც ძალიან

უფულო უქულოს არ ნიშნავს



ფოთი
28 თებერვალი
15 საათი
„ფაზისი"
2 000 (ტევადობა 6 500)

კოლხეთი 0:0 დინამო

კოლხეთი: მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, შალამბერიძე, ქობულაძე (ქანტარიძე 73), ფანწულიძე, ბკურია (შაფულიძე 81), ღაღანიძე, ვ. გვასალია, წიფნავაძე, კვირკველია (ყურაშვილი 84)
სათადარიგო: ქვაჩახია; ქუთელია, პაპავა, ნარსია
დინამო: გრიშიკაშვილი, ზამთარაძე, შაშიაშვილი, კანდელაკი, ჩივაძე, სვანაძე, მანწკავა, მაზიაშვილი, ბურდული (თ. მისურიძე 87), გ. მიქაძე, თუთარაშვილი (ტაბიდაური 71)
სათადარიგო: ბასიაშვილი; შუბლაძე, ტყეშელავა, გეგუჩაძე
გასწორებლები: მანწკავა (26), მაზიაშვილი (29), გოროზია (70)
მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. მეშკოვი (თბილისი)
სფფშ-ის ინსპექტორი: ა. დეკანოზიშვილი

იუზა კაციტაძე ფოთიდან

ახალს ვერაფერს გეტყვით. ცნობილია, „დინამოს" თავის საუკეთესო პერიოდში უჭირდა ფოთში თამაში, „კოლხეთი" მისთვის ყველაზე უხერხული მეტოქე გახლდათ და თბილისელებს გუშინაც რომ გასჭირვებოდათ ზღვისპირელებთან, არც გამიკვირდებოდა. ისედაც შესუსტებულმა „დინამომ" ჩემპიონატის განახლების წინ კიდევ ორი მოთამაშე მოისაკლისა. ზირაქიშვილი და დათვაძე „ლოკომოტივში" გადაბარგდნენ. ამას არჩილ სახვაძის დისკვალიფიკაციაც დავუმატოთ და, ფაქტობრივად, სტუმრები ჭაბუკებით დაუპირისპირდნენ ამბიციურ კოლხებს. წინასწარ ვიტყვით, ჭაბუკებითაც ძალა ყოფილა „დინამო". სტუმრებმა პირველიდან ბოლო წუთამდე დიდი შემართებით იბრძოლეს და ქულაც დამსახურებულად შეირგეს.

„დინამომ" თავიდანვე დაცვით ტაქტიკას კი მიმართა, მაგრამ ანგარიშის გახსნის შანსი პირველად სწორედ სტუმრებს მიეკათ. მე-2 წუთზე, ლადო ბურდული აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში, კარისკენ დარტყმაც მოახერხა, ოღონდ ოდნავ აიცილა. მერე კოლხებმა სცადეს შეტევების ორგანიზება, მაგრამ დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ. დინამოელები მოედნის ცენტრშივე არ აცლიდნენ მასპინძლებს ბურთის მიღებას და პასის გაცემას, თავგამოდებით, ხისტად ეთამაშებოდნენ. საწყის თხუთმეტ წუთში სტუმრები ათჯერ დაჯარიმდნენ. ვერა და ვერ აეწყვნენ ფოთელები. ნახევარი საათი ისე გაილია, სოსო გრიშიკაშვილის კარს საფრთხე არ შექმნია, თუ არ ჩავთვლით საჯარიმოდან საველ ღაღანიძის ძლიერად, მაგრამ უზუსტოდ დარტყმულს. საიმედოდ გამოიყურებოდა „დინამოს" დაცვა, ცენტრშიც და ფლანგებზეც. შუახაზელებიც ბეჯითობდნენ, წინ წაწეული სეხნიები მიქაძე და თუთარაშვილი კი მუდამ მზად იყვნენ იერიშისათვის. კოლხნი „დინამოს" საჯარიმოში შორიდან ჩაწოდებებით შეეცადნენ ფონს გასვლას. ვერც ეს გზა გამოდგა მათთვის სახეირო. გრიშიკაშვილი გამოსვლებზე უშეცდომოდ თამაშობდა და არც დინამოელ მცველებს — შაშიაშვილს და ჩივაძეს უჭირდათ ბურთის თავით მოგერიება.

პირველ ტაიმში, ფაქტობრივად, ერთხელ შესცოდეს დინამოელებმა დაცვაში. 36-ე წუთზე გოროზიამ მარცხნიდან ჩააწოდა მეტოქის საჯარიმოში მყოფ წივნივაძის მისამართით, რასაც ჰამლეტი ნახტომში ეფექტური თავურით შეეპასუხა, ოღონდ მიზანს მცირედით ააცილა. შესვენებამდე ოთხი წუთით ადრე ღაღანიძის საჯარიმოდან ძლიერად გასროლილს გრიშიკაშვილმა კარის კუთხეში მიუსწრო და მოიგერია.

მეორე ტაიმი პირველისგან ბევრად არ განსხვავდებოდა. მასპინძელთა შეტევები მეტწილად ქაოტური იყო, რაც „დინამოს" საქმეს უიოლებდა. კოლხებს მხოლოდ 68-ე წუთზე გაუჩნდათ გატანის შანსი. ფანწულიძის კუთხურიდან ჩაწოდებული დინამოელ მცველებს გადაცდა და შალამბერიძეს მიუვიდა. ჯონიმ ახლოდან კი დაარტყა, მაგრამ არცთუ ძლიერად და შაშიაშვილმა ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი. ორ წუთში უკვე სტუმრებს შეეძლოთ დაწინაურება. მიქაძე მამუკა გვასალიასთან პირისპირ რჩებოდა, მაგრამ გოროზიამ იგი საჯარიმოს წინ წააქცია. არბიტრმა ოდენ გაფრთხილება აკმარა კოლხს.

ბოლოსკენ „კოლხეთი" ლამის მთელი გუნდით გადავიდა იერიშზე, მე-80 წუთზე აკობიამ უაღრესად ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა — ფანჩულიძის ზუსტი გადაცემის შემდეგ მან დაახლოებით 12 მეტრიდან დარტყმული გადააცილა ხარიხას. დამატებულ დროში ელდარ გვასალიამ, როგორც იქნა, შეარხია „დინამოს" კარის ბადე, ოღონდ თამაშგარე მდგომარეობიდან.

გიპოვე, ჩემო სულიკო



გორი
28 თებერვალი
15 საათი
ცენტრალური
3 000 (ტევადობა 8 230)

დილა 0:1 სიონი

0:1 შენგელია (61)
დილა: თ. ილურიძე, აკოფიანი, რ. საყაბურიძე, ლომიძე, გრიგალაშვილი (ფეშუაშვილი 70), გ. ჩიტაია, ეჯოშვილი, ერაძე (ლ. გოჩაშვილი 78), საგვარელიძე, კოტორაშვილი (ა. ხმალაძე 62), ხორგუაშვილი
სათადარიგო: სოლოლაშვილი; გაგნიძე, მ. ბურნაძე, გოგინაშვილი
სიონი: ვოლკოვი, ჯ. გოდერძიშვილი (ბოსეშვილი 51), სიდამონიძე, ასპანიძელაშვილი, სოლოლაშვილი, ბ. შენგელია, ბარნოვი, ისიანი (გაბისონია 78, კ. მეტრეველი 86), მ. გოგოლაძე, ჯ. გოგოლაძე, დავითაშვილი
სათადარიგო: დალალიშვილი; დ. ჯაფარიძე
გასწორებლები: ხორგუაშვილი (50), ბარნოვი (50), ლომიძე (85)
მსაჯები: ა. შალამბერიძე, გ. კიკაჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი (ყველა ქუთაისი); ა. კორიტაშვილი (თბილისი)
სფფშ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

პაატა კვანტალიანი გორიდან

გუშინდელი სამი ქულა სულიკო დავითაშვილმა მოუტანა ბოლნისელებს. ტანმორჩილმა „სიონის" ახალწვეულმა გააზრებული თამაშით ლომის წილი დაიდო თავისიანთა გამარჯვებაში და ქვემოქართლელებს ქართლში ნავსი გაატეხინა — საქართველოს ჩემპიონატებში „სიონს" აქამდე სტუმრად „დილა" არ დაემარცხებინა.

ნამატჩევს, ბუნებრივია, კმაყოფილი იყო სტუმართა თავკაცი სპარტაკ არჩვაძე. შემოდგომაზე მის გუნდს ერთობ უჭირდა თავდასხმის ხაზში, გამტანი არ ჰყავდა „სიონს". გუშინდელმა მატჩმა კი ცხადყო, რომ ამ მხრივ პრობლემა მოგვარებული აქვს არჩვაძის გუნდს.

„სიონი" ოთხი თავდამსხმელით დაუპირისპირდა „დილას". წინ წაწეულ დავითაშვილს და კახა გოგოლაძეს, ზურგს შალვა ისიანი და ბესიკ შენგელია უმაგრებდნენ. ოთხიდან სამი ახალწვეული იყო და პრინციპში სამივემ გაამართლა. გოგოლაძე დროულად იჭერდა ბურთს და ეფექტურ პასებს არ აგვიანებდა, მოულოდნელმა შენგელიამ მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა, დავითაშვილი კი საუკეთესო იყო მოედანზე, შენგელიას გოლიც მისი მომწიფებული გახლდათ. სულიკო ეფექტურად გასცდა მარჯვენა ფრთაზე ორ მეურვეს და საჯარიმოში დიდი სისწრაფით შეჭრილმა ილურიძეს შეატოვა თანაგუნდელი. მასაც კარში დარტყმის მეტი აღარაფერი დარჩენოდა და 61-ე წუთზე სტუმრები დაწინაურდნენ.

მთლიანობაში პირველი ტაიმი მეორეს ჩამოუვარდებოდა სანახაობრივი თვალსაზრისით. „სიონმა" კარგად კი დაიწყო, მაგრამ მე-15 წუთისთვის ინიციატივა დათმო და ვაჟა ხაჩირაშვილის შეგირდებმა ტერიტორიული უპირატესობა მოიპოვეს. აკოფიანის, საყვარელიძისა და ხორგუაშვილის მცდელობებს რეალური საგოლე მომენტები არ მოჰყოლია, მაგრამ „დილა" სტუმართა ნახევარზე აგორებდა ბურთს და გამუდმებულ დაძაბულობაში ჰყავდა მეტოქე. ტაიმის ყველაზე მწვავე მომენტი მე-20 წუთისთვის შეიქმნა, როცა გიორგი ლომიძემ თხუთმეტიოდე მეტრიდან ძლიერად დაჰკრა ბურთს, მაგრამ ვოლკოვი მომზადებული შეხვდა ამ დარტყმას.

მასპინძლებმა ენერგიულად დაიწყეს მეორე ტაიმი. დებიუტშივე იმავე ლომიძეს ჰქონდა თავის გამოჩენის შანსი, მაგრამ კარიდან ოთხიოდე მეტრში მყოფმა ვოლკოვს ვერაფერი მოუხერხა. მალე ხორგუაშვილს მიეცა ანგარიშის გახსნის შანსი, მაგრამ აკოფიანის გამოზომილი პასი ვერ გამოიყენა, ისევ ვოლკოვმა იხსნა თავისიანები. მერე კი იყო დავითაშვილის აფეთქება, შენგელიას გოლი და „დილა" აიჭრა. მასპინძლები უფრო და უფრო ცდებოდნენ მარტივ სათამაშო სიტუაციებში და „სიონს" ზედიზედ ორჯერ მიეცა ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა. ჯერ კახა გოგოლაძემ დაავიანა ხელსაყრელი პოზიციიდან კარში დარტყმა, მერე კი იმავე გოგოლაძის გამოზომილი პასით შეცვლაზე შესული ბახვა მოსეშვილი დაუპირისპირდა მასპინძელთა მეკარეს. გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ბახვამ მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და საჯარიმოში შესვლის ნაცვლად გადაწყვიტა, ოცდახუთიოდე მეტრიდან გაეტანა. ბურთი ილურიძესთან ერთად კარსაც ასცდა.

ნამატჩევს ბოლნისელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ქვემოქართლელთა ბედად, ტურის დარჩენილი მატჩები ისეთი შედეგებით დამთავრდა, რომ სიონელებს ექვსეულში შელწევის იმედის ნაპერწკალი გაუჩნდათ.

ვინ იცის, ეგებ ნაპერწკალი ალადაც იქცეს.

ქუთაისში

იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული
რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე.
საცხოვრებელი ფართი 250 მ².
დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

☎ (231) 7 17 58

ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ "სულიკოსთან"

ენდე დანდის!

ხიზანიშვილი კაპიტანმა გადაიბირა

ზურაბ ხიზანიშვილმა შოტლანდიურ „დანდის" მიაშურა

ხვალიდან ალბათ ზაფხულამდე აღარ მოგვიწევს კითხვა, რომელი იქნება ზურაბ ხიზანიშვილის მომავალი კლუბი. საქართველოს ნაკრების 19 წლის მცველი გუშინ შოტლანდიის ქალაქ დანდიში ჩავიდა გიორგი ნემსაძის კლუბთან მოსალაპარაკებლად და შეთანხმების შემთხვევაში 3 თვით დასაკავშირებლად.

ხიზანიშვილი გუშინვე დაბრუნდა კიოლნიდან ლონდონს, საიდანაც შოტლანდიაში ფიფას აგენტ ათოლ სტილთან ერთად გადაფრინდა.

შოტლანდიური კლუბი ხიზანიშვილის აგენტს ჯერ კიდევ ორი კვირის წინ დაუკავშირდა, მაგრამ მათთვის სასურველმა პასუხმა დაიგვიანა. ჩანს, ათოლ სტილიც რომელიმე კლუბთან შეთანხმების მიღწევამდე მოთამაშის სტატუსის გარკვევას ელოდა.

აქ საკითხავი აღარაფერია: და ეს მას შემდეგ, რაც ფიფამ ბათილად სცნო ზურაბ ხიზანიშვილის და თბილისის „ლოკომოტივის" უვადო ხელშეკრულება, ხოლო რკინიგზელებმა ვერც აგენტის საწინააღმდეგო კონკრეტული დოკუმენტები წარუდგინეს ფიფას.

მოთამაშეთა ტრანსფერისა და სტატუსის ფიფასეულმა იურიდიულმა სამსახურმა ქართულ კლუბსა და ფედერაციას დიპლომატიური, მაგრამ გარკვეული პასუხი თებერვლის დასაწყისშივე მოსწერა — სათქმელი სხვა თუ აღარაფერი გექნათ, ჩვენი დახმარების იმედი აღარ გქონდეთო.

ხიზანიშვილი და „დანდი" კონტრაქტის დეტალებზე დღეს ილაპარაკებენ. მოთამაშის მხარის პირობა ერთია — კონტრაქტი მოკლევადიანი, სეზონის ბოლომდე უნდა იყოს.

უკვე ორთვენახევარს ლონდონურ კლუბებში მოვარჯიშე ზურაბ ხიზანიშვილის „დანდით" დაინტერესება სწორედ ამ პირობაზე სკოტთა თანხმობამ გამოიწვია.

თანაც, მოახლოებულ საქართველო — რუმინეთის შესარჩევ მატჩის წინ ყოფილ ლოკომოტიველს უკლუბოდ ყოფნა არ სურს.

რაც შეეხებათ, პრემიერლიგის კლუბებს, ზურაბის მიმართ ინტერესი არ დაუკარგავთ. ამის მაგალითად გუშინწინდელი „კიოლნ" — საქართველოს მატჩი გამოდგება.

ერთ-ერთი ბრიტანული ინტერნეტსააგენტოს ცნობით, გერმანიაში „დანდის" თავკაც ივანო ბონეტის გარდა „ვესტ ჰემ იუნაიტედის" და „ფულემის" წარმომადგენლებიც გახლდნენ.

და კიდევ, მამამისის, ნოდარ ხიზანიშვილის თქმით, ზურა კიოლნის სასტუმრო „დორინტში" ნაკრების კაპიტან გიორგი ნემსაძესთან მეზობლობდა...

ნემსაძეს, თუ გახსოვთ, „სარბიელის" მკითხველისთვის არ დაუმალავს, რომ ხიზანიშვილის „დანდიში" ხილვა სურდა. ხიზანიშვილის დაუმალავდა?

ვახტანგ ბზიკაძე

ნუკრი მაჩაბლიანის ფოტო

გაძევებული ზურაბ მეტრეველი (მარცხნივ) და ალექსანდრე ამისულაშვილი

იბერია გაბრწყინდება

დავით თავართქილაძე

თბილისი
28 თებერვალი
15 საათი
შევარდენი
500 (ტევადობა 3 000)

იბერია 0:0 თსუ

იბერია: ჩლაიძე, შ. ლაცაბიძე, ამისულაშვილი, მიქელთაძე, ქვანია, ძამაშვილი (ლოლონაძე 84), გაგუა, გ. ნოზაძე (ჩაჩუა 70), ივეჩიანი, ლ. ხმალაძე (თარგამაძე 64), გულორდავა
სათადარიგო: ცინაძე
თსუ: მამარდაშვილი, ზ. ლაბაძე, ხარებავა, ებრალიძე, ბერიანიძე, არეშიძე, გვაზავა (შოშიაშვილი 88), ბ. ნოზაძე, ზ. მეტრეველი, მესხი, ბერიშვილი (დათუნაიშვილი 75)
სათადარიგონი: სტურუა, ლობჟანიძე, ჯობავა, ფირცხალაიშვილი, ქერაშვილი
გაფრთხილება: მეტრეველი (20), ლაბაძე (77)
გაძევება: მეტრეველი (79)
მსაჯები: ა. დოგრაშვილი, კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი), ზ. ჩქოიძემშვილი, მ. მაისურაძე (ორივე თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

აუტსაიდერთა დერბი იყო და თამაშიც ისეთი გამოდგა, ბოლოადგილოსნებს რომ შეეფერებათ. ფეხბურთელებმა იწვალეს, რაღაცას ცდილობდნენ, მაგრამ ერთობ ზანტი და მძიმე ბურთაობა გამოუვიდათ.

ორივე გუნდი შემადგენლობაგადასხვაფერებული შეეგება საგაზაფხულო ეტაპს. ძნელია პირველივე ტურიდან რაიმე დასკვნის გაკეთება, სტუდენტთა და სამტრედიელთა შესაძლებლობები და ისიც, თუ როგორ წაადგებიან გუნდებს ახლადშემატებული ფეხბურთელები, მერე უფრო ნათლად გამოჩნდება. თუმც „შევარდენის" ფრთებქვეშ მოკალათებულ „იბერიას" ახლა პატარა შანსი კი მიეცა, უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის რომ იბძოლოს — გუნდს თავისი სტადიონი გამოუჩნდა და იმედია, ახალი პატრონიც კარგად მოუვლის. ალბათ, არც ისაა პატარა საქმე, რომ გუნდმა, რომელსაც 17 ტურში 2 ქულა ჰქონდა, ამის ნახევარი პირველივე თამაშში მოიპოვა.

პირველი ტაიმი სტუდენტებისა გამოდგა. სტუმრები ბურთს უფრო დიდხანს ფლობდნენ და შედარებით მწვავედაც უტევდნენ. მატჩში ერთადერთი მრავალსვლიანი, საზრიანი და სწრაფი იერიში თსუ-მ განახორციელა — მეტრეველ — ნოზაძე — მესხის კომბინაცია არაზუსტი დარტყმით დამთავრდა.

საჯარიმოს გარედან თემურ ჩლაიძის კარის დალაშქვრის ხელსაყრელი მომენტი ორჯერ შეექმნა ზვიად გვაზავას, მაგრამ ჯერ ააცილა, მერე კი ჯარიმიდან გასროლილი ბურთი მასპინძელთა მეკარემ ხელებში გააქვავა.

გოლის გატანის საუცხოო შანსი სტუდენტთა მარჯვენაფლანგელ ილია ბერაშვილს მიეცა — „იბერიას" საჯარიმოში არეულობისას ბურთი ოდნავ მახვილი კუთხით მყოფს მიუვიდა, მაგრამ ჩლაიძის კარის ცხრიანს მცირედით ააცილა.

ერთხელ მასპინძლებმაც გაიბრძოლეს, როცა ივეჩიანმა შორიდან ერთობ უხერხული ტრაექტორიით დაურტყა მამარდაშვილს და ბურთი ოდენ ზევიდან დაეცა კარის ბადეს.

შესვენების შემდეგ თამაში მყისვე გათანაბრდა, 15-20 წუთის შემდეგ კი მასპინძლები პირწმინდად დაეუფლნენ უპირატესობას. ჯერ გუჯა გულორდავას გაუცუდდა დარტყმა, მერე ვალერი გაგუამ გაიბრწყინა მარცხენა ფლანგზე, მაგრამ ფაქტობრივად ცარიელი კარის გასწვრივ ჩაწოდებულ ბურთს არავინ გამოეხმაურა. შემდეგ ივეჩიანმა ვერ ივარგა — მამარდაშვილის კარიდან ასე 5-6 მეტრით დაშორებულმა თავური მეტად უხეიროდ დაარტყა. თავით თამაშში მას ვერც გაგუამ აჯობა, რომელმაც „იბერიას" მომდევნო მწვავე იერიში უნაყოფოდ დაასრულა.

სტუმართაგან კი ყოფილმა იბერიელმა, ზურაბ მეტრეველმა ვერ გამოიყენა ჩინებული საგოლე მომენტი — მეტოქის საჯარიმოში კარგად შეიჭრა, მაგრამ ჩლაიძეს ახლო კუთხისკენ არაზუსტად დაურტყა. მოედნიდან კი მეტრეველი მეორე გაფრთხილების გამო გააძევეს — პირველი ყვითელი ბარათი მსაჯისკენ ნასროლი რეპლიკისთვის დაიმსახურა, ხოლო მეორედ მეტოქე მცველს ჯარიმას არ არტყმევინებდა, ბურთთან ჯიუტად აიტუზა.

...„იბერია" გაბრწყინდება — „გორდას" შემდეგ თსუ მეორე გუნდია, რომელსაც ქულა გამოსტყუა.

ნუკრი მაჩაბლიანის ფოტო

თსუელი ბექა ნოზაძე იბერიელები გოგა ქვანიას (№5) და ირაკლი თარგამაძის წინააღმდეგ

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი
♦ სუ ჯოკ აკუპუნქტურა
♦ სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
♦ კვებისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია
(აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)
მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის
განსაზღვრა უფასო კონსულტაციით
თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109

საქართველოს უმაღლესი ლიგა — ჩემპიონატი 12 — კალენდარი

მეცხრამეტე ტური

4 მარტი, კვირა
- დინამო — დილა
- ბათუმი — კოლხეთი
- სიონი — მერანი
- ტორპედო — იბერია
- თსუ — გორდა

5 მარტი, ორშაბათი
- ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია

მეოცე ტური

10 მარტი, შაბათი
- ვიტ ჯორჯია — თსუ
- იბერია — სიონი
- გორდა — ტორპედო
- მერანი — დინამო
- დილა — ბათუმი
- კოლხეთი — ლოკომოტივი

ოცდამეერთე ტური

18 მარტი, კვირა
- სიონი — გორდა
- ბათუმი — მერანი
- დინამო — იბერია
- ტორპედო — თსუ
- კოლხეთი — ვიტ ჯორჯია
- ლოკომოტივი — დილა

ოცდამეორე ტური

22 მარტი, ხუთშაბათი
- გორდა — დინამო
- ვიტ ჯორჯია — ტორპედო
- თსუ — სიონი
- იბერია — ბათუმი
- მერანი — ლოკომოტივი
- დილა — კოლხეთი

საქართველოს პირველი ლიგა — ჩემპიონატი 12 — კალენდარი

მეთვრამეტე ტური

3 მარტი, შაბათი
- თორი — ზუგდიდი
- შუქურა — ოკეანე
- სამგურალი — კოლხეთი
- თბილისი — ცხინვალი
- მეტალურგი — მილანი
- ლოკომოტივი 2 — ასკ

მეცხრამეტე ტური

9 მარტი, პარასკევი
- ლოკომოტივი 2 — თორი
- ასკ — მეტალურგი
- მილანი — თბილისი
- ცხინვალი — სამგურალი
- კოლხეთი — შუქურა
- ოკეანე — ზუგდიდი

მეოცე ტური

17 მარტი, შაბათი
- თორი — ოკეანე
- ზუგდიდი — კოლხეთი
- შუქურა — ცხინვალი
- სამგურალი — მილანი
- თბილისი — ასკ
- მეტალურგი — ლოკომოტივი 2

ოცდამეერთე ტური

21 მარტი, ოთხშაბათი
- მეტალურგი — თორი
- ლოკომოტივი 2 — თბილისი
- ასკ — სამგურალი
- მილანი — შუქურა
- ცხინვალი — ზუგდიდი
- კოლხეთი — ოკეანე

ოცდამეორე ტური

25 მარტი, კვირა
- თორი — კოლხეთი
- ოკეანე — ცხინვალი
- ზუგდიდი — მილანი
- შუქურა — ასკ
- სამგურალი — ლოკომოტივი 2
- თბილისი — მეტალურგი

მეთორმეტე მეთორმეტეში

გეხსომებათ, მეთორმეტე ეროვნულის დაწყებამდე „ბათუმიდან“ გუნდის იმდროინდელი დამრიგებლის, ჯანი კარნევალის დაუკითხავად ექვსი ფეხბურთელი რომ მიაბრძანეს.

ერთ-ერთი მათგანი გელა გაბისონია გახლდათ. გაუჭირდა ფეხბურთელს ახალი გუნდის მოძებნა, არადა, მისებრ გამოცდილი ფორვარდი ჩვენს ჩემპიონატში არცთუ ბევრია.

საშუასეზონო პერიოდში გაბისონიამ აზერბაიჯანულ განჯის „ქიაფაზშიც“ ამოყო თავი, მაგრამ ტრანსფერი არ შედგა. ახლახან კი 30 წლის თავდამსხმელს, როგორც იქნა, საშველი დაადგა — გელა გაბისონია ბოლნისის „სიონის“ ღირსებას დაიცავს, რომლის რიგებშიც მერვე ეროვნულ ჩემპიონატშიც უთამაშია.

საერთოდ კი, გაბისონიას საქართველოს პირველი ათი ეროვნული ჩემპიონატი დაუჭაშნიკებია. მეთერთმეტეში იმიტომ ვერ ითამაშა, რომ ლიტვურ „ატლანტასში“ გადავიდა, თუმც იქ ფეხი ვერ მოიკიდა. ახლა ახალფორმატიან და სეკვესტრირებულ მეთორმეტეს გაუსინჯავს გემოს. სხვათა შორის, თორმეტი თავისებურად სიმბოლური რიცხვია გაბისონიასთვის — ბოლნისის „სიონში“ შემდგარი ეს ტრანსფერი მეთორმეტეა მის საფეხბურთო კარიერაში.

დავით თავართქილაძე

გაბერილ ბიჭებს გაბერილი ბურთი სჯობია
საიდან იწყება ფეხბურთი? ჩვენი ეზოდან, კეთილი კაცისგან...

სპორტის სიყვარული და უფროსების მხარდაჭერა. სულ ეს იყო. მოზარდ ფეხბურთელთა კლუბის „ჩვენი ეზოს“ წევრები თავიანთ ეზოებში დასდევდნენ ბურთს და ტელეეკრანებიდან შეთვისებულ საფეხბურთო ფინტებს უჩვენებდნენ ერთმანეთს, ახლახან კი გლდანის სახელბურთო მანეეში შეკრებილი შეუცნობლის მოლოდინით აღსავსე თორმეტ-ცამეტი წლის ბიჭები მოუთმენლად ელოდნენ ტურნირის დაწყებას. არად აგდებდნენ გაყინულ დარბაზსა და სიცივისგან აწითლებულ ყურებს.

ჩემპიონატი დაიწყო. პატარები ჯერ გაუბედავად დასდევდნენ ბურთს, „დიდ“ მოედანს ეჩვეოდნენ. მერე თანდათან გათამამდნენ და თამაშს ცეცხლი შეუნთეს. შიგადაშიგ ისეთი დარტყმები და დრიბლინგები ვიხილეთ, დიდვარსკლავნიც არ იტყოდნენ უარს თავიანთ ბავშვობაში.

ტურნირში ექვსი გუნდი და ოცდაათი ნორჩი ფეხბურთელი მონაწილეობდა — „მიმინო“, „სიხარული“, „არწივი“, „მერცხალი“, „გლდანელები“ და „უბნელები“ ხუთ-ხუთი მოთამაშით. ნახევარფინალამდე სულ პატარებმა გამართეს საჩვენებელი მატჩი.

ფინალში ერთმანეთს „მიმინო“ და „უბნელები“ შეხვდნენ. დაღლილი პატარები თავდაუზოგავად ირჯებოდნენ და თამაში 1:1 დასრულდა. ჩემპიონობის ბედი პენალტებმა გადაწყვიტა — 4:1 იმარჯვეს მიმინოელებმა გაგა ჩოხელმა, შალვა დორეულმა, ილია ჩოხელმა, გიორგი მახარაშვილმა, დათო სვიმონიშვილმა.

შეჯიბრის ორგანიზატორებმა ყველა მონაწილეს მოუმზადეს საჩუქარი — თითოეულმა მიიღო „მადლობის ფურცელი“ ტურნირში მონაწილეობისთვის და ოქროსფერი შოკოლადის მედალიონი, რომელსაც მათთვის იმ წუთებში მართლაც ოქროს ფასი ედო. „რჩეულებს“ „სნიკერსებიც“ ერგოთ. საუკეთესო ფეხბურთელი უბნელი ალიკა არუთუნოვი გახდა, საუკეთესო ბომბარდირი — მიმინოელი დათო სვიმონიშვილი, საუკეთესო მეკარეც უბნელი იყო — გიორგი კვანტალიანი.

მსგავსი შეჯიბრებები ხშირად რომ იმართებოდეს, ჩვენი პატარა ბიჭები მხოლოდ „ქუჩის აკადემიის“ ანაბარად არ იქნებოდნენ მიტოვებულნი. ტურნირმა დაადასტურა, რომ თუ გული გულობს, უმცირესი დანახარჯითაც შეიძლება პატარებისთვის დიდი სიხარულის მინიჭება. აღსანიშნავია, რომ მთავარი პრიზი — ტურნირის ჩემპიონის თასი დააწესა და გადასცა გლდანის სატელეფონო კავშირგაბმულობის სადგურის წარმომადგენელმა გ. ზაქარეიშვილმა.

კიდევ ერთი ნიუანსი: „ჩვენი ეზოს“ მწვრთნელმა, რომელმაც ტურნირი უსასყიდლოდ გამართა და ბავშვებს თავიდანვე უფასოდ ავარჯიშებდა, ჟურნალისტთა კითხვების მიუხედავად თავისი ვინაობის გამჟღავნება არ ისურვა და ასე გვიპასუხა: „ჩავთვალოთ, რომ ბავშვებს ეს საჩუქარი ღმერთმა გამოუზავნა, ჩემს გვარ-სახელს რა მნიშვნელობა აქვს“.

ნანა ყაველაშვილი

რესტორანი ზღიანი ღამე

განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული სარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

მობრძანდით, გვეწვიეთ: კმაყოფილი დარჩებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგური მატჩი

საფრანგეთი 10 გერმანია

10 ზიდანი (27)
საფრანგეთი: ბარტეზი, კანდელა, დესაი (სილვესტრი 77), ლებეფი, სანიოლი (ლიზარაზუ 60), ვიეირა, პეტიტ, ზიდანი (მაკელელე 83), ანელკა (ანრი 60), დიუგარი, ვილტორდი (პირესი 54)
მწვრთნელი: როჟე ლემერი
გერმანია: კანი, ვიორნსი, იერემისი, ლინდენბერი (ფრინგსი 81), რამელო, ჰამანი (ნოვოტნი 46), ბალაკი, ბოდე (ციგე 89), შოლი, იანკერი (ბირჰოფი 67)
მწვრთნელი: რუდი ფიოლერი
გაფრთხილება: შოლი, ვიორნსი
მაყურებელი: ალფრედო ტრენტალანჟე (იტალია)
80 000 მაყურებელი

ზინედინ ზიდანის მოქნეულმა მარცხენა ფეხმა საფრანგეთისა და გერმანიის ნაკრებთა თამაშის ბედი გადაწყვიტა. გოლი, რომელიც გასული წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა 27-ე წუთზე გაიტანა, ერთადერთი გამოდგა. პარიზის „სტად დე ფრანსზე“ მიღწეული ეს გამარჯვება ფრანგთაგან გერმანელთა ზედიზედ მესამე ძლევა გახლდათ. აგრეთვე ეს იყო მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონთა ზედიზედ მეცხრე წაუგებელი შეხვედრა, შარშან ზაფხულზე, ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე, ჰოლანდიასთან მეორე შემადგენლობით დამარცხების შემდეგ.

გერმანელებმა, ახალი მწვრთნელის, რუდი ფიოლერის ხელმძღვანელობით მეორედ წააგეს. პირველი მარცხი წინა შეხვედრაში — ისიც ამხანაგური გახლდათ — ნოემბერში, დანიამ აწვნიათ.

ზიდანის გოლი მარჯვენა ფრთიდან ვილი სანიოლის ჩაწოდების შედეგად გავიდა. სანიოლისთვის ეს მეორე მატჩი იყო ეროვნული გუნდის შემადგენლობაში.

ზიდანმა ბურთი საჯარიმოში ბარძაყით მიიღო, უახლოეს მცველს გაცდა და ახლოდან ზუსტად დაარტყა.

მორიგი ცნობა: საფრანგეთის ნაკრებს გერმანიასთან შინ 1935 წლის მერე არ წაუგია.

„გერმანიის დამარცხება, როგორც მწვრთნელისთვის, ასევე ფეხბურთელთა და გულშემატკივართათვის ძალიან დიდი საქმეა“ — კმაყოფილებით აღნიშნა მატჩის შემდეგ ფრანგთა მწვრთნელმა როჟე ლემერმა.

...თამაშის წინ მასპინძელთა ერთ-ერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა, იური ჯორკაეფმა ფეხის თითი მოიტეხა და, ცხადია, მოედანზე ვეღარ გავიდა. იგი კიდევ 10 დღეს ვერ მიეკარება ბურთს, მაგრამ შეხვედრა მის გარეშეც ერთობ საინტერესოდ წარიმართა. უპირველესად აღსანიშნავია, რომ მოედანზე დატრიალებული მოვლენები უფრო ოფიციალურ მატჩს მოგაგონებდათ, ვიდრე ამხანაგურს. ზიდანს დიტმარ ჰამანი მეურვეობდა მჭიდროდ, ხოლო ფორვარდ კრისტოფ დიუგარის იენს იერემისი მეთვალყურეობდა.

თამაშის პირველ მონაკვეთში სახიფათო მომენტი ფრანგებმა შექმნეს: სილვენ ვილტორდმა ნიკოლა ანელკას შეუქმნა საგოლე მომენტი, მაგრამ „პარი სენ ჟერმენის“ თავდამსხმელმა დარტყმა დააგვიანა. შემდეგ, ზიდანის გოლი გავიდა, რომელზეც კიდევ ერთხელ თუ შევჩერდებით, იმას ვიტყვით, რომ იუვენტუსელმა შეტევის სწორად დაგვირგვინების მაგალითი აჩვენა როგორც თავისიანებს, ასევე მეტოქეებს. ერთი ხნის მერე კარსტენ იანკერის უზუსტო დარტყმამ ცოტა შეაშფოთა მასპინძლები, მაგრამ ტაიმის ბოლო სახიფათო მომენტი მაინც ლურჯებისა იყო: ზიდანმა საჯარიმო დაარტყა, ოღონდ ააცილა.

შესვენების შემდეგ გერმანელები გაცილებით მოღონიერებულნი ჩანდნენ, თუმცა მომენტების სიმწვავით თუ ვიმსჯელებთ, უპირატესობა კვლავ ფრანგებისა გახლდათ: 55-ე წუთზე ანელკამ მეტოქე მცველთა ხაზი გაარღვია, მაგრამ ძლიერად ვერ დაარტყა და ბურთი ოლივერ კანის ულუფა შეიქნა, ხოლო ზედიზედ ოთხი კუთხურის ჩაწოდების შემდეგ, 73-ე წუთზე, მარსელ დესაის ასევე უღონო დარტყმა კვლავ კანმა მოიგერია ფეხით.

შეცვლებით განსაკუთრებულ სიახლეს ვერც ერთმა მწვრთნელმა ვერ მიაღწია, ხოლო მატჩის გმირმა, ზიდანმა პრესკონფერენციაზე განაცხადა: „დღეს ძალისმიერი მეტოქის წინააღმდეგ კარგად ვითამაშეთ, თუმცა გერმანელთა მეურვეობას იმაზე უხეშს ნამდვილად ვერ ვუწოდებ, იტალიის ჩემპიონატში რომ ვაწყდები ხოლმე“.

მარსელ დესაი: „მართალია გავიმარჯვეთ, მაგრამ აგრესიულად მოთამაშე გერმანელებმა დიდი გაქანების საშუალება არ მოგვცეს და ამას საკუთარ ნაკლად მივიჩნევ. გერმანიის ნაკრები ის გუნდია, რომელსაც ამხანაგურ შეხვედრებშიც შეუძლია სიურპრიზის შემოთავაზება“.

ლემერი: „დღეს, გამარჯვების მიუხედავად საფრანგეთის ნაკრებს წინააღმდეგობის უნარის გამოვლენა მოუხდა. ჩემი ფეხბურთელებიდან მინდა სანიოლი გამოვარჩიო, რომელმაც საქმეს ჩინებულად გაართვა თავი და ზიდანს საგოლე პასიც მიაწოდა. აგრეთვე მინდა სილვესტრი შევაქო. დესაის რომ გაუჭირდა, მას უყოყმანოდ ვენდე“.

ისევ ზიდანი: „გოლების გატანა ძალიან მიყვარს, მით უფრო ისეთ შეხვედრებში, დღეს რომ იყო. მართალია, დღევანდელი თამაში უფრო სანახაობრივიც შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ, ხომ იცით, მთავარი მოგებაა და ეს ორივე გუნდმა იცის. კმაყოფილი ვარ, რომ გერმანელებს საუკეთესო თვისებები არ გამოვავლენინეთ“.

რუდი ფიოლერი: „საფრანგეთის ნაკრებთან დამარცხება სამარცხვინო სულაც არ არის. მე, უბრალოდ, იმით ვარ უკმაყოფილო, რომ ჩემი ფეხბურთელები ცოტა შეშინებულები ჩანდნენ, უფრო მეტად გარისკვაც შეიძლებოდა, უფრო მეტი სითამამე იყო საჭირო. მატჩის სრული ანალიზი რომ ჩავატაროთ, გამოჩნდება, რომ ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით და ამისთვის დავისაჯეთ კიდეც“.

მეამეთ შოლი: „მართალია, საფრანგეთს ზედმეტი მორიდებითა და პატივისცემით ვეთამაშეთ. ამ შეცდომაზე უნდა ვისწავლოთ. და მაინც, ვგონებ, რომ საკუთრივ მატჩის განმავლობაში თამაშს ვაუმჯობესებდით“.

ფრანგებს ზინედინ ზიდანის გოლმა მოაგებინა

თუმცა, ფიოლერი მხოლოდ უკმაყოფილო როდი დარჩა: „მომეწონა მიხაელ ბალაკი. ის დიდი ნიჭის მქონე ფეხბურთელია, რომელსაც დიდი ოცნება აქვს და მწამს, ამ ოცნებას აისრულებს“.

ვიხეილ სურგულაძე

რუდი ფიოლერი: ბორია საფრანგეთამდე

„მეფე რუდი“, „რუდი გოლიათი“, „რუდი მხსნელი“ — 17 აგვისტოდან გერმანიის ნაკრების ახალ მწვრთნელ რუდი ფიოლერს თავისი მისამართით მხოლოდ ასეთი ეპითეტები და ქება ესმოდა, მაგრამ მისი უძლეველობის მითი სამშაბათს საპნის ბუშტივით გასკდა — გერმანია „სენ დენიზე“ საფრანგეთთან 0:1 დამარცხდა.

„მსოფლიოს ჩემპიონებმა აშკარად დაგვჩაგრეს, მადლობა ღმერთს, 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ქვეჯგუფში მეტოქეები ალბანეთი, საბერძნეთი, ფინეთი და დაუძლურებული ინგლისი რომ არიან. ჩვენ მათ ფონზე კიდევ გუნდს ვგავართ“ — წაიკითხავთ გუშინდელ „ბილდში“.

ვინ არის დამნაშავე გერმანიის ნაკრების ასეთი უსუსური თამაშისთვის? როცა ეს კითხვა დაისვა, თითქმის ყველამ ფიოლერისკენ გაიხედა. გერმანულმა სააგენტომ „ზიდმაც“ მცირე ინტერვიუ ჩამოართვა.

— ჰერ ფიოლერ, ალბათ დაგვეთანხმებით, რომ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებთან გერმანიის ნაკრებმა საზიზღრად ითამაშა. როგორია თქვენი კომენტარი?

— ექსპერტობა სულაც არ სჭირდება იმას, რომ ვთქვათ, ჩვენ მსოფლიოს უძლიერეს გუნდთან ვითამაშეთ და წავაგეთ. ფრანგებმა ძალიან აგრესიულად დაიწყეს მატჩი, ამან კი ცოტა არ იყოს, დაგვთრგუნა. აშკარად ცუდად გამოვიყურებოდით. ჩვენ ფრანგებთან გვაკლდა ის რისკი და გამბედაობა, რომელიც ინგლისელების წინააღმდეგ გამოვავლინეთ. სამშაბათის მატჩმა დაგვანახა, სად დგას გერმანიის ნაკრები.

— სად დგას, როგორ ფიქრობთ?

— ფრანგების დონემდე ძალიან ბევრი გვიკლია. ფაქტია, როჟე ლემერის შეგირდები საუკეთესო ფეხბურთის თამაშობენ მსოფლიოში. ჩვენ კი კიდევ ბევრი კომპონენტი გვაქვს დასახვეწი. მე და ჩემი თამაშეგმწეები წინ ვიყურებით, სამშაბათს ბევრი ხარვეზი დავინახეთ, რომლის გამოსწორებასაც აქტიურად შევეცდებით. კარგია, რომ შესარჩევი ეტაპის განახლებამდე ასეთ ძლიერ მეტოქეს ვეთამაშეთ, ბევრი რამ ვისწავლეთ.

— როგორ შეაფასებდით იენს იერიმისის თამაშს?

— მან ისე ითამაშა, როგორც ჩვენ გვსურს. იგი ნამდვილად გამოირჩეოდა გუნდში. იერემისს დაცვაზე ყურადღების გამახვილება დავავალეთ. მან თავისი საქმე დიდებულად შეასრულა. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე შეცდომა დაუშვა, ამის თქმის საფუძველი მაინც მაქვს. იენსი გუნდში ის ფეხბურთელი იყო, რომელსაც შიში არ ეტყობოდა და რისკზეც მიდიოდა. მისით ძალიან კმაყოფილი ვარ, ისევე, როგორც მთლიანად დაცვის ხაზის თამაშით.

— თავდასხმაზე რას იტყვით?

— მთელი მატჩის განმავლობაში სულ ორი-სამი საგოლე მომენტი გვქონდა, იმასაც თუ მომენტი ჰქვია, რაც ბარტეზის კართან შევქმენით. ამით, ვფიქრობ, ყველაფერია ნათქვამი. ყველაზე მეტად იმან აღმაშფოთა, რომ საჯარიმოსთან მიახლოვებაც კი გვიჭირდა, კარში დარტყმაზე აღარაფერს ვამბობ.

— ცოტა არ იყოს, გაგვაკვირვეთ, როცა ოლივერ ბირჰოფს კარსტენ იანკერი ამჯობინეთ და ძირითადში „ბაიერნის“ ფორვარდი დააყენეთ...

— ეს გადაწყვეტილება იმიტომ მივიღე, რომ ვიცოდი ღია თამაში არ იქნებოდა. ბურთი ძირითადად მინდვრის ცენტრში იტრიალებდა. იანკერიც ამიტომ იყო ძირითადში. იგი თავდამსხმელი კია, მაგრამ შექმნაც ძალუძს, ბირჰოფის სტიქია კი შეტევის დაგვირგვინებაა. იგი ღია თამაშის დროს გამოიყურება კარგად. სამშაბათისდარ მატჩებში ბირჰოფი დაიკარგება. აი, სხვა მეტოქეებთან უპირატესობას მას მივანიჭებ.

— ამის თაობაზე თავად ბირჰოფს ელაპარაკეთ?

— ცოტა ხანს ვისაუბრეთ. მას ყველაფერი ავუხსენი. იგი დამეთანხმა. ცხადია, ფეხბურთელი ყოველთვის იმედგაცრუებულია, როცა ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება, მაგრამ ოლივერთან ეს პრობლემა არ ყოფილა.

— მიხაელ ბალაკის თამაშს როგორ შეაფასებდით? იგი აშკარად ამოვარდნილი ჩანდა მოედნის ცენტრში.

— ბალაკისთვის ძალიან მნიშვნელოვანი თამაში იყო. მასზე ბოლო დროს ერთობ ბევრს ლაპარაკობენ, ამიტომ თავისი შესაძლებლობების დამტკიცება მართებდა, თუმცა გამოუცდელობის გამო ეს ვერ მოახერხა. მიხაელს დიდი მიზნები აქვს, რომელსაც, მჯერა, მიაღწევს, ოღონდ უნდა შეიგნოს, რომ ამისთვის თავდადებაა საჭირო.

— ნაკრებისგან მომდევნო მატჩებშიც ასეთ თამაშს უნდა ველოდოთ?

— იმ პოტენციის გათვალისწინებით, რომელსაც მე გერმანიის ეროვნულ გუნდში ვხედავ, შემიძლია განვაცხადო, რომ შესარჩევ მატჩებში სხვა გუნდს იხილავთ.

თარგმნა მანო ოძრობირიძემ

ბირჰოფის პიროობა

სამშაბათს დილით, საფრანგეთის ნაკრებთან ამხანაგური მატჩის წინ, გერმანიის ეროვნული გუნდის კაპიტანი ოლივერ ბირჰოფი მწვრთნელმა რუდი ფიოლერმა დაიბარა და გამაოგნებელი ამბავი ამცნო. „ძირითად შემადგენლობაში იანკერი იქნება, როგორც კი საჭირო ჩავთვლი, მაშინვე მინდორზე შეგიყვან“ — უთხრა მწვრთნელმა შეგირდს.

„შოკში ჩავვარდი, გაოცებული ვიყავი, მე ხომ ამას ვერც წარმოვიდგენდი. მაგრამ შემდეგ ყველაფერი გავაანალიზე. რა უნდა მექნა, თუკი ნაკრებისთვის ასე უკეთესი იქნებოდა“... — დამწუხრებული ლაპარაკობდა ნამატჩევს ბირჰოფი.

აშკარაა, 32 წლის თავდამსხმელს კარიერაში მძიმე პერიოდი უდგას. ბოლო მატჩებია, „მილანის“ თავკაცმა ალბერტო ძაკერონიმ აითვალწუნა და სათადარიგოთა სკამს ახეხინებს, ახლა კი ნაკრებშიც იგივე შეემთხვა.

ბირჰოფი სამშაბათს მინდორზე 67-ე წუთზეღა გამოჩნდა, როცა მასპინძლები 1:0-ს იგებდნენ.

„არ მინდა, ფიოლერის გადაწყვეტილება ძაკერონის საქციელს დავუკავშირო. რუდის ადრეც უთქვამს, მთავარია, ნაკრებში მომზადებულები იყოთ, კლუბში ვინ როგორ გექცევათ, ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებო. ამიტომ მგონია, რომ ჩემი სკამზე ჯდომა ამ კონკრეტული მატჩის სქემას უკავშირდება და არა სხვა რამეს. მაგრამ მაინც ვთვლი, რომ კაპიტნის ადგილი მინდორზეა და არა თადარიგში — გულისტკივილით აღნიშნა ბირჰოფმა, რომელსაც ეროვნულ გუნდში 53 შეხვედრა ჩაუტარებია. — არა უშავს, თავს არ დავზოგავ და „მილანის“ ძირითადშიც დავბრუნდები და ნაკრებისაშიც, სააბისოდ ბევრი ვარჯიში, გოლების გატანა და ცოტა მოთმინება მჭირდება“.

1996 წლის ევროპის ჩემპიონატის გმირმა ისიც თქვა, რომ ასაკის მიუხედავად, თავს ძალიან მხნედ გრძნობს, ისევე, როგორც 4-5 წლის წინ, თავის ქოშაგებს კი ჰპირდება „24 მარტს ალბანეთის ნაკრებთან ისევ ძირითადში ვიქნები“.

რომა მეორედ დაჩაგრეს

არის თუ არა ეს პენალტისკენ გაშვერილი ხელი?!

უეფამ უარყო „რომას“ ხელმძღვანელობის თხოვნა, უეფას თასის მერვედფინალური მატჩის გადათამაშების თაობაზე. გავიხსენოთ, რომ რომში „ლივერპულმა“ 2:0 მოიგო, ლივერპულში კი სტუმრებმა 1:0 იმარჯვეს. რომაელთა მხრიდან გადათამაშების მოთხოვნა ესპანელი არბიტრის უხეშმა შეცდომამ გამოიწვია, როცა მარკუს ბაბელს საკუთარ საჯარიმოში ბურთი ხელზე მოხვდა, ხოსე მარია გარსია არანდამ ჯერ პენალტზე მიუთითა, მერე კი გადაიფიქრა.

სააგენტო „როიტერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში უეფას სადისციპლინო კომიტეტის წარმომადგენელმა თქვა: „იმ ეპიზოდის ვიდეოჩანაწერი გულმოდგინედ შევისწავლეთ, ორივე მხარეს მოვუსმინეთ და მსაჯის განმარტებით ბარათსაც გავეცანით — შედეგის გაუქმებისთვის მიზეზი არ არსებობს. თუ „რომა“ ჩვენს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება, შეუძლია სამი დღის ვადაში გააპროტესტოს“.

საინტერესოა, რომ ხოსე გარსია არანდამ მატჩის შემდეგ უარყო, პენალტის ნიშნულისკენ ხელი არ გამიშვერიაო. არადა, აშკარად გაიშვირა.

შეფსამ იმპერია დაშალა

ორმა მეზობელმა ევროპულმა ქვეყანამ — ავსტრიამ და შვეიცარიამ გადაწყვიტეს, ერთად უმასპინძლონ 2008 წლის ევროპის ჩემპიონატს. ორივე სახელმწიფოს მაღალჩინოსანი საფეხბურთო მოხელეები 9 მარტს შვეიცარიულ დედაქალაქ ბერნში პირველ ერთობლივ შეხვედრას ჩაატარებენ, დაიწყებენ პროექტზე მუშაობას, რომელიც შემდეგ უეფაში უნდა წარადგინონ.

„პროექტის მომზადება წლის ბოლოსთვის უნდა დასრულდეს, უკიდურეს შემთხვევაში, გაისად გაზაფხულისთვის ყველაფერი მზად იქნება“ — განაცხადა ავსტრიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბეპო მიუჰარტმა, რომელიც მარტში დაგეგმილ შეხვედრაზე აპირებს ჩასვლას თავის შვეიცარიელ კოლეგასთან შესახვედრად.

გავიხსენოთ, რომ წინა ევროპის ჩემპიონატს ორმა სახელმწიფომ — ბელგიამ და ჰოლანდიამ ერთობლივად უმასპინძლა. მომავალი მსოფლიოს პირველობის ჩატარებაც კორეა-იაპონიაშია დაგეგმილი. ავსტრიასა და შვეიცარიას თავიანთი პროექტის გატანა და უეფას მხარდაჭერის მოპოვება, ალბათ გაუჭირდებათ, რადგან ევრო 2000-ის შემდეგ არაერთხელ ითქვა, რომ ჩემპიონატის ჩატარება ორ ქვეყანაში ერთდროულად ნაკლებ ეფექტურია და ამიერიდან უეფასგან მსგავს პროექტებს ნაკლები მხარდაჭერა ექნება.

ამის ნათელი დასტურია ისიც, რომ 2004 წლის ევროპის პირველობის მასპინძლობის უფლება მხოლოდ ერთმა სახელმწიფომ, პორტუგალიამ მოიპოვა, მიუხედავად იმისა, რომ ავსტრიასა და უნგრეთს ერთობლივად სურდათ. მიუჰარტმა განაცხადა, რომ შარშან უეფასგან უარის შემდეგ, მათ აღარც უფიქრიათ, კვლავ უნგრეთთან დაეჭირათ საქმე და ხელახლა შეეტანათ ერთხელ ჩავარდნილი პროექტი. „ავსტრიულ-უნგრულმა პროექტმა არ გაამართლა და მას შემდეგ ეს საკითხი აღარც წამოჭრილა“ — დაადასტურა ავსტრიელმა.

პროექტის უეფაში შეტანა ერთია, მაგრამ მისი კარგად წარმოჩენა და მხარდაჭერის მოპოვება რთული საქმეა, რადგან მასპინძელ ქვეყანაში ყველანაირი ინფრასტრუქტურა ზედმიწევნით წესრიგში უნდა იყოს. შვეიცარიელები სულ მცირე, ოთხი სტადიონის აშენებას გეგმავენ — ციურიხში, ჟენევაში, სენტ გალენში და ბერნში. წარმატების შემთხვევაში ფინალურ მატჩს ავსტრიის დედაქალაქ ვენის „ერნსტ ჰაპელ შტადიუმზე“ ჩაატარებენ. ასევე რეკონსტრუქციას გაუკეთებენ ინსბრუკის „ტიროლის“ სარბიელს, განაახლებენ „ზალცბურგის“ სტადიონს და 19-ათასიან არენას 30-ათასიანად აქცევენ.

ავსტრია-შვეიცარიის შესაძლო კონკურენტებს უკვე ასახელებენ. ეს ქვეყნებია — ნორვეგია, დანია, შვედეთი და ფინეთი. მასპინძლობა აგრეთვე შოტლანდიას, უელსს და ირლანდიასაც განუზრახავთ.

ნიკა შუბლაძე

მემატიანემეზმა ბარტეზს 2000 აჩუქეს

ორი დღის წინ საერთაშორისო ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის ფედერაციამ (IFFHS) გამოკითხვა ჩაატარა და 2000 წლის მსოფლიოს საუკეთესო მეკარე დაასახელა.

ყველაზე მეტი ხმა 1998 წლის მსოფლიოსა და 2000 წლის ევროპის ჩემპიონმა, ფრანგმა ფაბიენ ბარტეზმა მოაგროვა. „მანჩესტერ იუნაიტედის“ კარის დარაჯმა, 195 ხმა მიიღო.

„ჩემთვის ეს დიდი პატივია. მსოფლიოში ბევრი მაღალი კლასის მეკარეა. როგორც ეტყობა, დავიმსახურე, თორემ მათგან არავინ გამომარჩევდა“ — შეიფერა აღიარება ბარტეზმა.

მეორე ადგილზე გავიდა მიუნხენის „ბაიერნის“ გოლკიპერი ოლივერ კანი. ვეტერანი გერმანელი, რომელიც შარშან ამავე გამოკითხვით საუკეთესო იყო, წლეულს მხოლოდ 133 გამოკითხულმა დაასახელა პირველ ნომრად. კანს სულ ორი ხმით ჩამორჩა ევროპის ვიცე-ჩემპიონი, იტალიელი ფრანჩესკო ტოლდო, რომელიც ფლორენციის „ფიორენტინას“ ღირსებას იცავს.

სულ ცოტა 5 მილიონიც



ლონდონის „ჩელსიმ“ ჯიბეზე ხელი გაიკრა და ჩილელი თავდამსხმელის, მარსელო სალასის სანაცვლოდ რომის „ლაციოს“ 25 მილიონი დოლარი შესთავაზა. იტალიური გუნდის პრეზიდენტმა, სერჯო კრანიოტემ შორს დაიჭირა ინგლისელთა გულუხვობა. კრანიოტემ კარგად იცის სალასის დარი ფეხბურთელის ფასი და ქვა აადო და თავი შეუშვირა — არაუმცირეს 30 მილიონი ღირს, გარდა ამისა, მისი გაშვება გუნდიდან სეზონის ბოლომდე ყოვლად წარმოუდგენელიაო.

არადა, ინგლისელებს ყოველივე წინდაწინ გაუთვლიათ: მალე „ლაციოს“ ტრავმამოშუშებული კლაუდიო ლოპესი დაუბრუნდება და რომაელებსაც მარსელო აღარ დასჭირდებათ, თავდამსხმელს იოლად შეელევიანო. ადვილად წარმოედგინათ კუნძულელებს ეს საქმე, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. თუმც ვინ იცის, თავმოყვარეობის ამბავია. ეგებ ჩრდილოელელებმა 25 მილიონს ხუთიც წაამატონ და სალასმა მომავალ სეზონში „ჩელსის“ ლურჯი მაისურა მოირგოს.

ფული სამყაროს აწესრიგებს

ნუნუ გომეში და რუი კოშტა თერიმს გაეტირნენ

ფათიჰ თერიმი

ამას წინათ გაუწყებდით, რომ თურქი მწვრთნელი ფათიჰ თერიმი სეზონის ბოლოსთვის „ფიორენტინას“ დატოვებას აპირებსო, მაგრამ მისი იტალიური კარიერა ნავარაუდევზე ადრე დასრულდა. თურქმა გურუმ ფლორენციული კლუბი სერია A-ს გათამაშების შუა ეტაპზე დაობლა. „ფიორენტინა“ დღესდღეობით სატურნირო ცხრილის შუაშია გაჩხერილი და ბობოლა გუნდების ამალაში გარევა ვერაფრით მოუხერხებია. ფლორენციელები კი ამბიციური, ემოციური ხალხია და ამიტომაც უცხოტომელს თავისი შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენა არ დასცალდა. ფათიჰ თერიმმა გუნდში ნახევარი სეზონიც ვერ გაძლო.

იტალიელებმა უმალ გამონახეს თურქის მემკვიდრე. „ფიორენტინას“ სახელოვანი ფეხბურთელი და გამოუცდელი მწვრთნელი რობერტო მანჩინი გაწვრთნის. თერიმის გუნდიდან უეცარმა წასვლამ „ფიოს“ მოთამაშეთა დიდ ნაწილს დასწყვიტა გული. ყველაზე მეტად კი პორტუგალიელები — რუი კოშტა და ნუნუ გომეში დამწუხრებულან.

კოშტას ფათიჰ თერიმის წასვლა გაუმართლებლად მიაჩნია. მისი თქმით, მწვრთნელსა და ფეხბურთელებს შეეძლოთ კრიზისის დაძლევა: „ცოტა ხნის წინ გადავწყვიტეთ, რომ ჯერ კიდევ შეგვეძლო ყველაფრის გადარჩენა და რაიმე წარმატების წლეულსვე მიღწევა. სამწუხაროა, რომ ხელმძღვანელობამ ყური არ გვიგდო და ნაჩქარევი გადაწყვეტილება მიიღო“. ნუნუ გომეშს, რომელიც თერიმის დარად პირველ სეზონს ატარებს „ფიორენტინაში“ და ტიტულებიც სწყურია, მიუხედავად გუნდის უფერული გამოსვლისა, მწვრთნელზე აუგს ვერ დააცდევინებთ, პირიქით: „იგი შესანიშნავი მწვრთნელი და ბრწყინვალე ადამიანია, დასანანია, რომ გუნდიდან მიდის“.

დასრულდა ფათიჰ თერიმის იტალიური კარიერა და, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ფაქტით პირველად ისევ მისი თანამემამულენი დაინტერესდნენ. თერიმის გადადგომიდან ოცდაოთხი საათიც არ იქნებოდა გასული, რომ მას „ბეშიქთაშის“ თავკაცობა შეეხმიანა. კლუბის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი მულტიმილიონერი აჰმეთ ქამოღლუ, ოტომანთა ჯილა მწვრთნელს საარაკო გასამრჯელოს ჰპირდება, თუ იგი წლის ბოლოს ნევიოს სკალას უიღბლო მემკვიდრეობას ჩაიბარებს. დიდი ფული დიდ საქმეებს აკეთებს და სავარაუდოა, რომ „ბეშიქთაში“ აისრულებს ნატვრას. ნევიო სკალასი კი რა მოგახსენოთ. მართალია, თურქები იტალიელს შემოსწყრნენ, მაგრამ იგი იხტიბარს არ იტეხს. სკალა რამდენიმე დღის წინ შმობლიურ ნახევარკუნძულს სტუმრობდა. ჟურნალისტებმა უმალ დაწერეს, მწვრთნელი „ფიორენტინასთან“ მოლაპარაკებას აწარმოებს, რადგანაც ამ გუნდის გაწვრთნა გულით სწადიაო. თავად სკალა ამ განცხადებამ განაცვიფრა — მე „ბეშიქთაშს“ ვეკუთვნი, ძალიან მომწონს სტამბოლი და არსადაც არ ვაპირებს წასვლას, „ფიორენტინა“ კი სრულებითაც არ მაინტერესებსო.

ცხადია, იტალიელს აქვს უფლება, უყვარდეს სტამბოლი, ქომაგობდეს „ბეშიქთაშს“, მაგრამ, თურქებს მისი, როგორც მწვრთნელის, დახმარება აღარ სჭირდებათ. ალბათ, დიდი ფული ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს — თერიმს სტამბოლში, ხოლო სკალას — მშობლიურ იტალიაში.

ნიკა შუბლაძე

მანჩესტერმა ინგლისური ფეხბურთი გასრისა

ვენგერს იმედი მოუკვდა

არსენ ვენგერი

ფრიად დაუფიქრებია ფრანგი არსენ ვენგერი ინგლისური ფეხბურთის მომავალს. „არსენალის“ მწვრთნელი „მანჩესტერ იუნაიტედის“ სიდიადეში ინგლისური ფეხბურთის განვითარების მუხრუჭს ხედავს, აქვს კიდეც საფუძველი. წინა სეზონში მანჩესტერელებმა პრიმერადივიზიონის ოქრო მოიპოვეს და ვერცხლის „არსენალს“ თვრამეტი ქულით აჯობეს. წლეულს „მეთოფეები“ „წითელ ეშმაკებს“ უკვე თექვსმეტი ქულით ჩამორჩებიან და ჩემპიონის ვინაობაც სეზონის დასრულებამდე, ფაქტობრივად, ცნობილია.

„უდავოა, მანჩესტერელთა ბატონობა ქვეყნის ფეხბურთის განვითარებას აფერხებს. ჩემპიონატმა ინტერესი სავსებით დაკარგა. ჯერ გაზაფხული არ დამდგარა და ყველაფერი გადაწყვეტილია. უფრო საინტერესო იქნებოდა, რომ პირველობისთვის სამი-ოთხი გუნდი მაინც იბრძოდეს. მათ („მანჩესტერ იუნაიტედს“) არაფერი უჭირთ, ხოლო ჩვენ თავმოსაწონი აღარაფერი დაგვრჩა“ — ამგვარად დაუკნინებია ამაყი „არსენალი“ და მისი მთავარი მწვრთნელი, მართლაც რომ გადიდებულებულ ბობოლას.

არადა, ყველას გეხსომებათ ის სეზონი, როდესაც „არსენალმა“ შორს წასული მანჩესტერელები ტრიუმფალური სვლით მოიტოვა უკან და ჩემპიონობაც იზეიმა. სადღაა ძველი ჯიგარი, წახდა არსენი და მისი „მეთოფეთა“ რაზმი. წინა კვირაში მოსისხლემ რომ თავსლაფი დაასხა, ალბათ დიდხანს გაჰყვება სამარცხვინო ლაქად. „მანჩესტერმა“ ხომ სენსაციური ანგარიშით მოუგო „არსენალს“ — 6:1. მოდი და ამის შემდეგ მომავალს იმედიანად შეხედე. რას იზამ, დიდი გუნდია „მანიუ“. მას ბევრი ფული და სერ ალექსი ჰყავს და, როგორც ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურ ფეხბურთს „დალუპვას“ უქადის, ალბათ კიდევ კარგა ხანს იქნების გოლიათური ნაბიჯებით ქვეყნის საფეხბურთო ოლიმპზე.

გიორგი მგზარდაშვილი

ეი, პრემიერ, პასი!

ვიქტორ ორბანი

ჯერ ოთხმოცდაათ-ოდ წლებში ბურთს ბევრ ადგილას ეთამაშებოდნენ. ბურთი ბევრ ადგილას ბევრ ადამიანს ეკუთვნოდა

ჯორკაეფმა მოიტეხა და უარყო

გერმანული „კაიზერსლაუტერნისა“ და საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველმა იური ჯორკაეფმა მარჯვენა ფეხზე თითი მოიტეხა და ამის გამო საკმაო ხნით მოუწევს დასვენება. იგი კვირას ბუნდესლიგის მორიგ ტურში „ჰანზასთან“ მატჩის შემდეგ სამშობლოში ჩავიდა. საფრანგეთის ეროვნული გუნდის თავკაცმა როჟე ლემერმა ფეხბურთელი სამშაბათს გერმანიის ნაკრების წანაღმდეგ სათამაშოდ გამოიძახა.

ფრანგებმა თამაშის წინ მხოლოდ ერთი ვარჯიშის ჩატარება მოასწრეს და ჯორკაეფიც სწორედ მაშინ დაშავდა — ერთ-ერთი შეჯახებისას თითი მოიტეხა.

„ბედი არ მწყალობს, ცოტა ხნის წინ ერთი ტრავმა მოვირჩინე, ახლა ისევ დავშავდი“ — განუცხადა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა ერთ-ერთ ფრანგულ ტელეკომპანიას. გეხსომებათ, სომხური წარმოშობის ფრანგი ზამთრის არდადეგებზეც დაშავდა, მკურნალობის პროცესი კარგა ხანს გაგრძელდა და ჯორკაეფი მინდორს მხოლოდ ათიოდე დღის წინ დაუბრუნდა. ახლა კი...

იმავე ტელეკომპანიასთან საუბრისას 32 წლის ფეხბურთელმა ამას წინათ გავრცელებული ხმებიც უარყო. სეზონის ბოლოს ჯორკაეფი სამშობლოში დაბრუნდება, სავარაუდოდ, „ლიონის“ ღირსებას დაიცავსო, ასეთი ინფორმაცია ბევრმა გაზეთმა დაბეჭდა. თავად ნახევარმცველმა კი ასეთი კომენტარი გააკეთა: „მე არასდროს მითქვამს, რომ „კაიზერსლაუტერნიდან“ წასვლა მსურს. გერმანულ კლუბში თავს მშვენივრად ვგრძნობ და კონტრაქტის ბოლომდე არსად გადასვლას არ ვაპირებ“.

იური ჯორკაეფი

შეგახსენებთ, ჯორკაეფს „კაიზერსლაუტერნთან“ დადებული ხელშეკრულების ვადა 2002 წლის 30 ივნისს გასდის. „მერე კი სამშობლოში, ალბათ, მართლა დავბრუნდები. კარიერის დასრულება საფრანგეთში მსურს“ — თქვა ნახევარმცველმა, რომელიც მინდორს, ექიმების თქმით, მინიმუმ ათ დღეში დაუბრუნდება.

ნუ იქნება ოღონდ ბუნტი

სტამბოლის „გალათასარაიში“ ბუნტია — გვამცნობს თურქული მედია. სუპერკლუბის ფეხბურთელები გასამრჯელოს დაგვიანების გამო დრტვინავენ. გასაგებია ლეგიონერთა შფოთვა, თურქთა საქციელი კი არაა მოსაწონი. სამშობლოში ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებს, თურქული ვალუტა ბოლო ხანს ძალიან გაუფასურდა. გაკვირვებულია გუნდის თავკაცი ფარუხ სურენი: „ქვეყნის მოსახლეობის ორმოცი პროცენტი კრიზისის შემდეგ თითქმის გაღატკდა, ამ ფონზე ფეხბურთელებს არაფერი აქვთ საწუწუნო. მათ ხელფასები დოლარებში უნაზღაურდებათ და მიუხედავად ყველაფრისა, არც ერთი ცენტი არ დაჰკლებიათ. „გალათასარაის“ ზოგიერთ მოთამაშეს მხოლოდ ერთი რამ ახსოვს — მათგან სიტყვა „ფულის“ გარდა ვერაფერს გაიგებ.

არადა, ბოლო დროს გუნდმა ძვირფასი ქულები დაკარგა, „დეპორტივოსთან“ დამარცხდა, უქმეებზე უსუსურმა „ქოჯაელისპორმა“ შეარცხვინა. ლიდერ „ფერენბაჰჩესგან“ უკვე ხუთი ქულა გვაშორებს. ეკონომიკური კრიზისი აქ არაფერ შუაშია, გუნდის წარუმატებელმა სერიამ კი, შესაძლოა, გვარიანად შეათხელოს ფეხბურთელთა ჯიბეები, თუ ყოველივე ამან დიდხანს გასტანა ზოგზოგიერთი კუთვნილ ხელფას-პრემიაზე მეტსაც დაკარგავს“ — განცვიფრებასთან ერთად მუქარაც ისმის სურენის განცხადებაში. მართლაც, ფული ცუდ გარჯაში არ უნდა მოითხოვო. გარდა ამისა, მიწისძვრებით, ეკონომიკური სიდუხჭირითა და კიდევ ათასი რამით შეჭირვებულ ხალხს ნიჭი არ უნდა დაამდლო.

საით მიდის იტალია?

გვჩაგრავენ, ვეჩაგვრინებით, გვატყუებენ

ვინ გაუძლებს? ტურინელი იგორ ტუდორი და მილანელი ანდრეი შევჩენკო

„იუვენტუსი“ და „მილანი“ იტალიის ორი ყველაზე ტიტულოვანი კლუბია. მათ შეხვედრებს რა ხანია, დიდი ინტერესით უცქერენ. მათმა ბოლო ჯახმა, რომელიც, გეხსომებათ, ტურინელებმა 3:0 მოიგეს, ერთხელაც გამოაჩინა არა მხოლოდ „მილანის“, არამედ მთლიანად იტალიური ფეხბურთის კრიზისი.

წინა კვირაში ერთდროულად ოთხმა იტალიურმა კლუბმა დაასრულა ევროპული ოდისეა: „ლაციომ“ ჩემპიონთა ლიგაში, ხოლო „ინტერმა“, „რომამ“ და „პარმამ“ — უეფას თასზე. ახლა მთელი საფეხბურთო იტალია ამას კითხულობს: „ვინ არის დამნაშავე? რა ვიღონოთ? — „იტალიას ჩაგრავენ“ — ეს ადრიანო გალიანის პასუხია.

მაგრამ არსებობს სხვა პასუხიც და ის დინო ძოფს ეკუთვნის: „იტალია არ დასუსტებულა, უბრალოდ, ჩვენ ვერ შევამჩნიეთ, როგორ გაძლიერდნენ სხვები“.

არის სხვა პასუხებიც, დინო ძოფი კი უმცირესობაშია. ყველაზე პოპულარული იტალიური სპორტული გაზეთი „გაძეტა დელო სპორტი“ ახლა საინტერნეტო გამოკითხვას ატარებს. დინო ძოფის პოზიციას იტალიელთა 19,5 პროცენტი ეთანხმება, ხოლო გალიანის მხარდამჭერნი ბევრად მეტნი არიან. სხვა პასუხებიც ვახსენოთ: ასე მაგალითად, იტალიელთა 32 პროცენტის აზრით, სუპერკლუბები ფეხბურთელებს ძალიან ბევრს უხდიან, მათაც ფეხბურთი ნაკლებად აინტერესებთ და კრიზისის მიზეზიც ესაა.

ამავე დროს იმის გასაგებად, თუ საით მიდის იტალიური ფეხბურთი, სულაც არაა აუცილებელი, ევროთასებზე მათ მორიგ სამარცხვინო გამოსვლას ველოდოთ. ვრთავთ კვირას ტელევიზორს და ვუყურებთ „იუვენტუსი“ — „მილანს“, შაბათს კი „დეპორტივო“ — „რეალი“ გვაქვს ნანახი. სხვაობა თვალსაჩინოა.

„მილანმა“ წააგო „იუვენტუსთან“. „მილანმა“ კვლავ ძალიან ცუდად ითამაშა. დიდი ხანია, „მილანი“ ასე სუსტი აღარ ყოფილა. ერთი კვირით ადრე „იუვენტუსი“ ბოლოადგილოსან „ბარის“ შეხვდა და ბარელებმა „მილანზე“ დამაჯერებლად ითამაშეს.

ამ დროს სხვაობა „ჯანმრთელ“ „იუვენტუსსა“ და „ავადმყოფ“ „მილანს“ შორის ერთ პუნქტამდე შეგვიძლია დავიყვანოთ — მოთამაშეთა ფიზიკური გამძლეობა. ყველაფერი დანარჩენი — შეცდომები, დაგეგმილი სათამაშო სქემის შეუსრულებლობა, აქედან გამომდინარეობს. მიზნის მიღწევის მექანიზმი ორივე გუნდს ერთნაირი აქვს, ოღონდ ერთს ამისთვის გამძლეობა ჰყოფნის, მეორეს კი არა. პირველ ტაიმში, როცა მილანელებს ძალა ერჩოდათ, ედგარ დავიდსი მათ კოჭებში ურტყამდა. მეორე ტაიმში, როცა ძალა გამოეცალათ, უკვე ისინი ურტყამდნენ დავიდსს. არ გვივარგა პასები, ცუდად გადავდივართ დაცვიდან შეტევაში, კარგი გამთამაშებელი გვინდა — ოხრავენ „მილანის“ გულშემატკივრები. გამთამაშებელი... განა ფილიპო ინძაგის მეორე გოლამდე, რომელმაც „მილანი“ საბოლოოდ გატეხა და კახა კალაძის ტრავმამდე ზინედინ ზიდანის ფანტაზია ბატონობდა მოედანზე?

„იუვენტუსის“ გამარჯვება რაღაცით შტანგის აწევას ჰგავს — ტურინელები მთელი 90 წუთი სწევდნენ სიმძიმეს, ხოლო მილანელები უფრო ადრე დაიღალნენ. და პირიქით რომ მომხდარიყო? არც არაფერი. „მილანის“ გამარჯვება წყლის ორი წვეთივით ემსგავსებოდა „იუვენტუსისას“ — ორივე გუნდი საკმაოდ მოსაწყენ ფეხბურთს თამაშობდა, სადაც გადამწყვეტი გამძლეობა იყო.

ცხადია, „რომა“, „ლაციო“ ან თუნდაც „ფიორენტინა“ სხვანაირად, თვალისთვის უფრო საამებელ ფეხბურთს თამაშობენ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, „რომასა“ და „იუვენტუს“ შორის მსგავსება სხვაობაზე მეტია. ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვერ უნდა ვხედავდეთ, თუ რა ხდება იტალიის გარეთ? ესპანური და ინგლისური ფეხბურთი ავიღოთ. იქ გუნდები სხვადასხვა ყაიდისა არიან, მაგრამ მათ თამაშში მეტი თავისუფლება და სილაღე იგრძნობა.

გიორგი დარჯანია

ფეხბურთის რეპორტიორი

ჰოლანდიური „როდას“ მწვრთნელმა სეფ ვერგოსენმა ბელგიურ „გენკთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და მომავალი სეზონიდან ამ კლუბს ჩაუდგება სათავეში, ზაფხულამდე კი იგი კერკრადულ გუნდში იმუშავებს. „გენკის“ მწვრთნელი ამჟამად დროებით პიერ დენიერია, რომელმაც დეკემბერში თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრების ყოფილი თავკაცი იოჰან ბოსკამპი შეცვალა. 1999 წლის ბელგიის ჩემპიონი „გენკი“ ახლა ჩემპიონატში მეთორმეტე ადგილზეა, თუმცა წლეულს თასის მოგების შანსი აქვს — გათამაშების ნახევარფინალში გავიდა.

ინგლისურმა „დერბი ქაუნთიმ“ სურვილი გამოთქვა, ისლანდიელი ნახევარმცველი ტეიდურ გუდიონსენი სეზონის ბოლომდე იჯარით აიყვანოს. 27 წლის ფეხბურთელი ახლა ესპანურ „ლას პალმასში“ ირიცხება, სადაც „გენკიდან“ 1,5 მილიონ გირვანქად გადავიდა, თუმცა ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდება და კლუბის გამოცვლას აპირებს. ვარაუდობენ, რომ ისლანდიელი ამ დღეებში ინგლისში ჩავა და „დერბის“ ხელმძღვანელობას შეხვდება.

გერმანიის ჩემპიონმა მიუნხენის „ბაიერნმა“ სურვილი გამოთქვა, „ბენფიკას“ მეკარე რობერტ ენკე შეიძინოს. იგი გერმანელია და ლისაბონურ კლუბში მიონხენგლადბახის „ბორუსიადან“ გადავიდა. კონტრაქტის პირობით ენკე „ბენფიკაში“ კიდევ ერთი სეზონი უნდა დარჩეს. აღსანიშნავია, რომ ცოტა ხნის წინ მას ლისაბონელებმა შეთანხმების გახანგრძლივება შესთავაზეს. როგორც გოლიპერის აგენტი ირწმუნება, ამის თაობაზე მოლაპარაკებები ახლაც მიმდინარეობს. 23 წლის გერმანელის შეძენით ლონდონის „არსენალიც“ დაინტერესებულა.

ინგლისის ნაკრებისა და „ნიუკასლ იუნაიტედის“ ყოფილმა მოთამაშემ პიტერ ბერდსლემ „სენტ ჯეიმზის პარკზე“ მწვრთნელად დაიწყო მუშაობა. 40 წლის ბერდსლემ სათამაშო კარიერა ორი წლის წინ „ჰარტლპულში“ დაასრულა და მწვრთნელობას მოჰკიდა ხელი. ახლა იგი ბობი რობსონმა თავის თანაშემწედ მიიწვია. ყოფილ თავდამსხმელს „ნიუკასლ იუნაიტედში“ 321 შეხვედრა ჩაუტარებია და 117 გოლი გაუტანია. ამას გარდა მას „ლივერპულის“, „ევერტონის“, „მანჩესტერ სიტისა“ და ცოტა ხნით „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაშიც უთამაშია. ბერდსლემ „ნიუკასლ იუნაიტედი“ 1997 წელს დატოვა და „ბოლტონში“ გადავიდა.

პორტუგალიურმა „ბენფიკამ“ „ინტერის“ ფეხბურთელებს — მარკო კანეირას და პაულუ კოშტას დაადგა თვალი. ეს წყვილი მილანურ კლუბში სეზონის დაწყების წინ „ალვერკადან“ გადაბარგდა, თუმც „ინტერმა“ უმალ „რეჯინაში“ გაანათხოვრა. კოშტა ნახევარმცველია, ხოლო კანეირა მცველი. ისინი პორტუგალიის 20-წლამდელთა ნაკრების წევრები არიან. ლისაბონური და მილანური კლუბები მალე მოლაპარაკებებს დაიწყებენ და ახალგაზრდა პორტუგალიელები შესაძლოა ლისაბონის „სტედიუმ ოფ ლაითზე“ აღმოჩდნენ.

ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ფლავიო კონსეისაომ ესპანეთის ორმაგი მოქალაქეობა მიიღო. მადრიდის „რეალის“ მოთამაშემ შესაბამისი დოკუმენტაცია ჯერ კიდევ „დეპორტივოში“ თამაშის დროს წარადგინა. ახლა კი საქმე განიხილეს და დადებითად გადაწყვიტეს. ფლავიო კონსეისაო ესპანეთში ხუთი წელიწადია თამაშობს და ევროკავშირული ლიმიტის გამო შემადგენლობაში მოხვედრა გამუდმებით უჭირდა.

ესპანური საagენტოების ცნობით, პრემიერლიგური „მიდლსბრო“ „ბარსელონას“ ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებს აწარმოებს, რათა ინგლისში კატალონიელთა თავდამსხმელი დანი გარსია გადაიბიროს. ბრიტანელთა წარმომადგენლები სამშაბათს ბარსელონაში ჩავიდნენ და დანის სანაცვლოდ კატალონიელებს 7 მილიონი გირვანქა შესთავაზეს. 1999 წელს „მალიორკადან“ ნაყიდი გარსია „ბარსას“ ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება, რის გამოც კლუბის დატოვებაზე ალაპარაკდა. შეგახსენებთ, რომ ფორვარდი მანამდე მადრიდის „რეალის“ ღირსებას იცავდა.

იტალიელი მცველის, ალესანდრო პიერინის შეძენის სურვილს „მილანი“ გამოთქვამს. სილვიო ბერლუსკონი, „მილანის“ პრეზიდენტი, „ფიორენტინას“ 27 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ 10 მილიონ დოლარსაც არ იშურებს. გუნდი ასევე თანახმაა, ფლორენციაში მცველი ლუიჯი სალა გაუშვას. ამის თაობაზე მოლაპარაკებები უკვე გაჩაღდა. პიერინიმ ძლიერი თამაშით სხვა კლუბების ყურადღებაც მიიპყრო. გარდა ამისა, ჯოვანი ტრაპატონიმ იგი იტალიის ნაკრებშიც მიიწვია.

ესპანეთის მეორედივიზიონურმა „კორდობამ“ მწვრთნელი ლუის სანჩესი თანამდებობიდან გაათავისუფლა. ხელმძღვანელობის განცხადებით, მათ ეს გადაწყვეტილება არცთუ დამაჯერებელი შედეგების გამო მიიღეს — გუნდი ახლა მე-13 ადგილზეა. სანჩესი დაახლოებით ორი თვე წვრთნიდა „კორდობას“, რომელმაც ამ ხნის განმავლობაში რვა თამაში ჩაატარა, ორი მოიგო, ორი წააგო და ოთხიც ფრედ დაასრულა. წინა ტურში კლუბმა ცხრილში მასზე ქვევით მყოფ „კომპოსტელასთან“ შინ ქულა გაიყო.

იტალიის ჩემპიონი რომის „ლაციო“ თავის საინტერნეტო გვერდზე იუწყება, რომ „პარმას“ მცველ ფაბიო კანავაროს შეძენითაა დაინტერესებული და იქვე ამხელს, რომ ორ კლუბს შორის მოლაპარაკებები უკვე დაიწყო. მოყვანილია თავად იტალიის ნაკრების მცველის სიტყვებიც: „პარმაში“ ვრჩები. კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს და შეწყვეტას არ ვაპირებ.“ თავად „პარმას“ ეს ინფორმაცია ოფიციალურად ჯერ არც დაუდასტურებია და არც უარყვია.

ჩეხმა ნახევარმცველმა პატრიკ ბერგერმა და ინგლისელმა ჯეიმი რედნაპმა „ლივერპულში“ ვარჯიში განაახლეს. ინგლისელს კარგა ხანია, ქრონიკული ტრავმა აწუხებს. ერთხანს ამერიკაშიც იმკურნალა და ახლა კვლავ მოედანს დაუბრუნდა, თუმც როდის გამოჩნდება ძირითად შემადგენლობაში, ჯერ არ იციან. პატრიკ ბერგერი კი ნოემბერში „ლიდს იუნაიტედის“ წინააღმდეგ მატჩში დაშავდა და მას შემდეგ არ უთამაშია. „ორივე ნელ-ნელა ფორმას ვიბრუნებთ, უიღბლო პერიოდი თითქოს დასრულდა“ — განაცხადა „ლივერპულის“ კაპიტანმა რედნაპმა.

ინგლისური „არსენალის“ სარეზერვო გუნდის ნახევარმველი ჯეიმს ჰარპერი ქვეყნის მეორედივიზიონურ კლუბ „რედინგში“ გადაბარგდა. მან ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ლონდონელებმა კი სანაცვლოდ 350 ათასი გირვანქა მიიღეს. „ჰარპერი ძალიან ნიჭიერი მოთამაშეა, როგორც კი შევამჩნიე, მაშინვე დავინტერესდი. ვიმედოვნებ, იგი ჩვენთან თავს გამოიჩენს“ — განაცხადა „რედინგის“ მწვრთნელმა და დასძინა, რომ ახალწვეულს ალბათ პირველივე შეხვედრაში ათამაშებს.

შვედ მეკარე მაგნუს ჰედმანს ლონდონის „არსენალმა“ და „მონაკომ“ დაადგეს თვალი. ორივე კლუბი ძლიერი გოლკიპერის ძიებაშია. „არსენალი“ ვეტერან დევიდ სიმენის, ხოლო ფრანგული კლუბი სეზონის დაწყების წინ „მანჩესტერ იუნაიტედში“ გაშვებული ფაბიენ ბარტეზის შემცვლელს ეძებს. „ქოვენთრი“ მეკარეს ალბათ გაყიდის და კარში მის ნაცვლად ახალგაზრდა კრის კირკლენდს ჩააყენებს, რომელმაც ახალხან კლუბთან კონტრაქტი გაახანგრძლივა. თავად ჰედმანმაც გაამხილა, რომ მის გადაბირებას რამდენიმე კლუბი ერთდროულად ცდილობს.

პარიზი, მოსკოვი, გიუმრი

საქართველო კრასნოდარში გაერთიანდება

ორი ბორჯღალოსანი კვლავ უვიზოდაა

ევროპის ერთა თასი. მესამე ტური. 4 მარტი

რუსეთი - საქართველო

კრასნოდარი. «დინამოს» სტადიონი. 14 საათი

კვირას „ევროპის ერთა თასზე“ მესამე ტურია და ფრიად მნიშვნელოვანიც. საქართველოს ნაკრებს ქალაქ კრასნოდარში სამკვდო-სასიცოცხლო ბრძოლა ელის რუსებთან.

გუშინდელ „სარბიელში“ ვწერდით, რომ საქართველოს დელეგაციას სავიზო პრობლემები შეექმნა. როგორც იცით, საქართველოს მოქალაქეებს ჩრდილოეთ სამეზობლოში გასამგზავრებლად ვიზები სჭირდებათ. საქართველოს რაგბის კავშირმაც საფრანგეთში მოთამაშე ლეგიონერთა ვიზების მისაღებად მარსელში მდებარე რუსეთის საკონსულოს მიაკითხა, ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე მორაგბეებისთვის კი თბილისში მოქმედ საელჩოს მიმართა, მაგრამ, თითქოს პირი შეკრესო, ორივე ორგანიზაცია ვიზების გაცემას უარობდა. აქაოდა, რუსეთის რაგბის კავშირს საგარეო საქმეთა სამინისტრო არ ცნობსო და შესაბამისად მათი მოწვევა დიდი ვერაფერი ბედენაა. საქმე იქითკენ მიდიოდა, საქართველოს რაგბის კავშირს 30-კაციანი დელეგაციისთვის ან ტურისტული ვიზები უნდა გაეხერხებინა, რომელიც დამატებით ხარჯებს მოითხოვდა, ან კრასნოდარში არ წასულიყო და რაგბის საერაშორისო საბჭოში ეჩივლა.

მერე სიტუაცია შეიცვალა. საქართველოში რუსეთის კონსული ვალერი ლებედევი, როგორც იქნა, დათანხმდა ქართველთათვის ვიზების გაცემაზე. ჩვიდმეტ ქართველ მორაგბესა და სამ ფრანგ მწვრთნელს რუსეთში შესვლის ნება მარსელის საკონსულომაც დართეს. მაგრამ, როგორც ჩანს, საქართველოს რაგბის მამებს დღეს დილითაც მოუწევთ მოუწევთ ლებედევის შეწუხება. საქმე ისაა, რომ ტრავმების გამო, შემადგენლობაში ცვლილებები მოხდა, ვიზების გასაცემად კი საკონსულო საგარეო საქმეთა სამინისტროდან ახალ-ახალ სახელობით სიებს ითხოვს. ამდენად, ნონო ანდღულაძესა და ბესო უდესიანს გუშინ გვიან ღამემდე ვიზები ხელთ არ ჰქონდათ, თუ ორივე მორაგბეს ეს ქაღალდი დღესაც არ აღირსეს, საეჭვოა, ისინი რუსებს დაუპირისპირდნენ.

გუშინ გვიან ღამით საფრანგეთიდან ჩვენი ჩვიდმეტი ლეგიონერი და სამი მწვრთნელი ჯერ მოსკოვში გაფრინდებოდა, მაგრამ რუსეთში ისე მოუთოვია, რომ გაწმენდნენ თუ არა ვნუკოვოს აეროპორტს, საიდანაც ქართველებმა კრასნოდარს უნდა მიაშურონ, ჯერაც უცნობია. გუნდის ძირითად ბირთვს ჩვენს ჩემპიონატში მოთამაშე ოთხი მორაგბე (მალხაზ ურჯუკაშვილი, ირაკლი აბუსერიძე, ვასილ აბაშიძე, თედო ზიბზიბაძე) დღეს დილით კრასნოდარში შეუერთდებიან. ისინი წუხელ გაემგზავრებოდნენ სომხეთის ქალაქ გიუმრიში და იქიდან გაფრინდებოდნენ მატჩის ადგილას. ნონო ანდღულაძე და ბესო უდესიანი კი, ვიზების მიღების შემთხვევაში, გუნდს ხვალ დაემატებიან.

ქართველთა რაზმში ცვლილებებია. თითქოს გუნდის ხელმძღვანელობას ვიზებთან დაკავშირებული გაწამაწია არ ეყოფოდა, უმალ ტრავმებიც იჩინა თავი. უკანა ხაზის წამყვანი მორაგბეს კახა ალანიას პორტუგალიასთან მიღებული თავის ტრავმა გაურთულდა და საფუძვლიან მკურნალობას საჭიროებს. საფრანგეთის ჩემპიონატში დაიმტვრნენ შერკინების ბურჯი გოდერძი შველიძე და მესამეხაზელი გრეგუარ იაშვილი. დაშავებულია შუამარბი ბადრი ხეხელაშვილი. არჩილ ქავთარაშვილს ოჯახური პრობლემები შეექმნა და რუსებთან ვერაფრით დაეხმარება თავისიანებს. გუნდში აღარაა ბეკი გიორგი ბუგიანიშვილი. მას ბოლო დროს სათადარიგო სკამზე ხშირად უწევდა ჯდომა და ამით უკმაყოფილომ ნაკრებში თამაში იუარა. სამაგიეროდ, გამოჯანმრთელდა ნაკრების კაპიტანი ზურაბ მჭედლიშვილი. მთავარმა მწვრთნელმა კლოდ სორელმა რუსებთან მატჩისათვის წლეულს პირველად უხმო შოთა მოდებაძეს, ვისაც მე-9 და მე-10 ნომრად შეუძლია თამაში. ფრანგი მწვრთნელის აზრით, მოდებაძე ფიზიკურად მოიკოჭლებს, რადგან საკმაოდ დაბალი დონის ფრანგული კლუბის „ლიუნელის“ შემადგენლობაში ირიცხება. სამაგიეროდ, თავისი უნარით, მოულოდნელი გადაწყვეტილებები მიიღოს, ნებისმიერი მეტოქის გაბრიყვება შეუძლია. დიდი ხნის შემდეგ ნაკრების მაისურას კვლავ მორგებენ გუჯა იოვაძე და ნონო ანდღულაძე. კრასნოდარში შეიძლება „ლოკომოტივის“ ფორვარდის, ბესო უდესიანის სანაკრებო დებიუტი შედგეს.

სულ „ბორჯღალოსანთა“ საკრასნოდარო შემადგენლობაში 23 მორაგბეა. მატჩის ოქმში კი 22 უნდა ჩაიწეროს. ასე რომ, ერთი მორაგბე ზედმეტი გვყავს.

ბაჩო სვანიძე

ფორვარდები

მეელუდ მთიულიშვილი
აქვსენტი გიორგაძე
ლევან ცაბაძე
ტარიელ რატიანიძე
სოსო ნიკოლაენკო
ვანო ნადირაძე
ვიქტორ დიდებულიძე
ზურაბ მჭედლიშვილი
დავით ბოლღაშვილი
გია ლაბაძე
ილო ზედგენიძე
ბესო უდესიანი

ბეკები

ირაკლი აბუსერიძე
შოთა მოდებაძე
პალიკო ჯიმშელაძე
ვასილ კაცაძე
თედო ზიბზიბაძე
ნონო ანდღულაძე
ვასილ აბაშიძე
მალხაზ ურჯუკაშვილი
ბესიკ ხამაშურიძე
გუჯა იოვაძე

დოპინგმიღებულ ჰარი კირვისნიემის სიბერე ჩამწარდა

ფინეთში კერპთა მსხვრევაა

ველოსპორტში „ფესტინას“ საქმისხელა არა, მაგრამ კარგა მოზრდილი დოპინგ-სკანდალი ფინურ თხილამურობაშიც მოხდა. ყველაფერი იარი იზომეცადან დაიწყო. სახელოვანი ფინელი ლაჰტის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩავარდა და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ როგორმე მთელი დანაშაული საკუთარ თავზე აეღო და დანარჩენი სპორტული სანათესაოსთვის (ნაკრების წევრები, ექიმები, მწვრთნელები) ნამუსი მოეწმინდა, მაგრამ ასე სად არის! იზომეცას პრეცენდენტმა ანტისადოპინგო ოფიციოზში დიდი ეჭვები დაბადა, ხოლო როდესაც იანე იმონენიც ჩავარდა, ცხადი გახდა: ფინურ თხილამურობაში დოპინგი საშუალება იყო და არა შემთხვევითობა.

მსოფლიოს ანტისადოპინგო საგენტომ (ვადა) ფართო კამპანია წამოიწყო. 28 ფინელი სპორტსმენი შემოწმდა, მათგან 17 მოთხილამურე, 6 ტრამპლინიდან მხტომელი და 5 ორჭიდელი. შედეგები გამოუგნებელი გამოდგა. სულ ბოლო ცნობით, რომელიც წუხელ კარგა შეღამებულზე მოვიპოვეთ, ჰარი კირვისნიემი და მილა იუჰო ასევე მხილებულნი არიან. კირვისნიემიზე ულევად შეიძლება თხრობა, 42 წლის ვეტერანს ოლიმპიადებსა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე მრავალი ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოუპოვებია. რაც მთავარია, კირვისნიემის ლაჰტიში ესტაფეტის ოქრო ერგო, ისევე როგორც იუჰოს ვერცხლი ქალთა ანალოგიურ შეჯიბრზე. თურმე დოპინგით შემაგრებულნი სრიალებდნენ! ახლა მათი პერსპექტივა მუქად ჩანს. კირვისნიემისთვის ისედაც პენსიაზე გასვლის დროა, მაგრამ გასვლაც არის და გასვლაც... ხოლო იუჰო 25 წლის გახლავთ და ორწლიანი დისკვალიფიკაცია ყველაზე ცუდ დროს უყელებს. სწორედ ამდენია დოპინგის ხმარებისთვის დადგენილი სასჯელი.

ახლა კი მთავარი სენსაციაც ინებეთ: დიდია ალბათობა, რომ ფინეთის ეროვნული გმირი, მიკა მულულაც სკანდალის მონაწილე გახდეს. ფინეთის საგენტო STT-ის ელაპარაკა მულულას ადვოკატი ანტი ვაინო და განუცხადა, რომ წინა მსოფლიოს პირველობის სამგზის ჩემპიონსა და ერთხელ ვიცე-ჩემპიონს დოპინგ-ტესტი სხვებთან ერთად ჩაუტარეს და A ნიმუშმა დადებითი შედეგი უჩვენა. ხოლო მეტწილად ასეთ დროს B ნიმუში მხოლოდ ადასტურებს პირველი ტესტის დიაგნოზს. თუმცა ნუ ვიჩქარებთო, უთქვამს ადვოკატს, საბოლოო შედეგამდე თავად მულულაც კომენტარებისგან თავს იკავებსო.

არის თურმე კიდევ ერთი ანონიმი მანდილოსანი დადებითი A ნიმუშით. მისი ვინაობაც შესაძლოა მალე გაირკვეს.

ფინეთის საზოგადოება ახმაურდა. სამსახური დატოვეს ჯერ ნაკრების ექიმებმა, მერე მთავარმა მწვრთნელმა კარი ჰეკა კიროო, მწვრთნელმა ანტი ლეპავურიმ და ქალთა გუნდის დამრიგებელმა იორმა რისკიმ. ფინეთის გამოძიების ეროვნული ბიურო ახალ სამხილებს პოულობს. აღმოჩენილია ჩანთა, რომელშიც აკრძალული ნივთიერებები იყო. კიროო აღიარა, რომ იგი მას ბენზინის გასამართ სადგურში დარჩა. სკანდალი გრძელდება.

დავით გულუა

ლინარესის სუპერტურნირი

პირველი სისხლი

მეოთხე ტურმა ლინარესის სუპერტურნირი გაახალისა. მანამდე, 3 ტურში ნათამაშევი ცხრავე პარტია ყაიმით დასრულდა და საჭადრაკო საზოგადოება აბუზღუნდა. ეს ამბავი ტურნირის მონაწილეებმაც შეიტყვეს და დასვენების დღემ არგოთ თუ სხვა რამ მიზეზით იყო, მეოთხე ტურში ბევრად აგრესიულად ამოქმედდნენ. ორი პარტია შედეგიანი იყო, მხოლოდ ანატოლი კარპოვი და პეტერ ლეკო გაიყარნენ მშვიდობიანად. ვეტერანი ექსჩემპიონი გულით ცდილობდა, ქულა გამოემუშავებინა და ახალინდური დაცვის აქტუალურ ვარიანტში თეთრების თამაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესა. კარპოვმა უპირატესობა მიიღო და შავი მეფის ბანაკზე დაწოლას უმატა, მაგრამ ლეკოს თუ რამე ეხერხება, უპირველესად მძიმე სიტუაციებიდან თავის დაძვრენა და საქმე ამჯერადაც ფრიადზე შეასრულა. მეხუთე ტურში დიდი დაპირისპირება შედგება კარპოვისა და კასპაროვის მონაწილეობით, ოღონდ ორი ექსჩემპიონის, ვინ იცის, მერამდენე პარტიაში თეთრებით ეს უკანასკნელი იქნება და ფავორიტად იგი ითვლება. კასპაროვმა კარპოვთან შეხვედრამდე ნორჩ ალექსანდრ გრიშჩუკს შავებით გადაუარა. 17 წლის პერსპექტიული რუსი დებიუტიდანვე ცუდ დღეში ჩავარდა, როცა კასპაროვისგან უკვე მე-6, შემდეგ კი მე-12 სვლაზე გამოყენებულმა სიახლეებმა იგი გაკვალულ გზას ააცდინა და სიცილიური დაცვის უცნობ ჯუნგლებში გადაისროლა. მე-40 სვლამდე კასპაროვი მეთოდურად ზრდიდა უპირატესობას და გრიშჩუკმა ერთი ხერხიანი კონტრარგუმენტიც ვერ წამოაყენა პოზიციის შესაცვლელად, საკონტროლო სვლების შემდეგ კი დანებდა.

მესამე დაფასთან ისხდნენ ლამაზი ჭადრაკის მიმდევრები: იუდით პოლგარი თეთრებით და ალექსი შიროვი. მათი პარტია ყველაზე საამო საცქერი გამოდგა. პარტიის დასაწყისში თეორიული სვლების განმეორება და ყაიმი შეიძლებოდა, მაგრამ პოლგარმა თავი აარიდა, რაზეც შიროვმა პაიკი შესწირა და თეთრ მეფეს როქის უფლება წაჰვარა. პოლგარმა გვარიანად დამძიმებულ სიტუაციაში გასაკვირად ზუსტი სვლები მოძებნა და შავების ინიციატივა ნელ-ნელა დაიშრიტა. ინტრიგის შესანარჩუნებლად ესპანეთის მოქალაქემ ახლა ხარისხი მიაჩეა მეტოქეს, მაგრამ მანდილოსანი აქაც გაერკვა სიტუაციაში და დაფის განაპირას გამსვლელი პაიკი შექმნა. შემდეგ მან თეთრი ფიგურების გროვაში ლაზიერი დათმო და ეტლითა და მხედრით პაიკს აღზევების ყველა პირობა შეუქმნა. 42-ე სვლაზე შიროვმა მარცხი აღიარა.

დავით გულუა

სატურნირო ვითარება 4 ტურის შემდეგ
1-2. გარი კასპაროვი (რუსეთი), იუდით პოლგარი (უნგრეთი) 2,5;
3-4. ანატოლი კარპოვი (რუსეთი), პეტერ ლეკო (უნგრეთი) 2;
5-6. ალექსეი შიროვი (ესპანეთი), ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) 1,5.

„ექვსი ერის“ ჩემპიონატი

ექვს ერს ვირუსი შეეყარა

ბრიტანეთში თურქულის ეშინიათ

კვირას კარდიფში, „მილენიუმზე“, „ექვსი ერის ჩემპიონატის“ მესამე ტურში უელსის ნაკრებს ირლანდიელებისათვის უნდა ემასპინძლა, მაგრამ მატჩი გადაიდო. გადაიდო ამ ქვეყნების მეორე და 21-წლამდელთა ნაკრებების შეხვედრებიც. ამის შესახებ საზოგადოებას „ექვსი ერის“ აღმასრულებელმა დირექტორმა როჯერ პიკერინგმა ამცნო.

კი მაგრამ, რა მოხდა? საქმე ის გახლავთ, რომ ბრიტანეთში „საქონლის ჭირად“ მონათლული, ჩვენში კი „თურქულად“ ცნობილი ეპიდემია მძვინვარებს. ხსენებულმა ეპიდემიამ უელსში ფერმერთა კუთვნილი ჯოგები თითქმის გაანახევრა, რამდენიმე ათეული უელსელი კი მედიკოსთა ხელში აღმოჩნდა. თუმც ექვსპერტთა აზრით, დაავადებულთა რიცხვი გაცილებით დიდია. ირლანდიელებიც ამ ფაქტმა შეაშფოთა. ოფიციალური მონაცემებით, ირლანდიის რაგბის კავშირმა მატჩზე დასასწრები 4 800 ბილეთი გაყიდა, მაგრამ საკუთარი ნაკრების საქომაგოდ გაცილებით მეტი, დაახლოებით ათი ათასი ფანი აპირებდა უელსში ჩასვლას.

„წარმოგიდგენიათ, რა მოხდება, ათი ათასი კაციდან ოცი მაინც ეპიდემიით დაავადებული რომ დაბრუნდეს. ეპიდემია ხომ ჩვენს ქვეყანაშიც გავრცელდება და სავალალო შედეგებს მივიღებთ. სოფლის მეურნეობის და ჯანმრთელობის სამინისტროებთან კონსულტაციის შემდეგ რაგბის კავშირი მკაცრად გავაფრთხილე, უელსში ნაკრებები არ გაეშვა“ — განაცხადა ირლანდიის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა. საინტერესოა, რას ფიქრობს „ექვსი ერის“ აღმასრულებები დირექტორი როჯერ პიკერინგი:

„ეს იოლი გადასაწყვეტი არ იყო, მაგრამ მართებულად ჩავთვალეთ, რომ უელსი — ირლანდიის მატჩი გადაგვედო. ასეთ სიტუაციაში სპორტული ინტერესები უკანა პლანზე იწევს. ახლა მხოლოდ ხალხის უსაფრთხოებაზე უნდა ვიზრუნოთ“.

როგორც ჩანს, საქმე ერთობ რთულადაა, რადგან ადვილი შესაძლებელია, მეოთხე ტურის ირლანდია — ინგლისის მატჩიც გადაიდოს. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი სულაც გაერთიანებულ სამეფოში შემავალი სახელმწიფოთა მინისტრების მოწვევასა და არსებულ პრობლემაზე დისკუსიის მოწყობას აპირებს.

ანალოგიურმა ეპიდემიამ 1967 წელს ჩაშალა ახალი ზელანდიის ნაკრების ტურნე დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში. მაშინ ირლანდიის მთავრობამ „ოლ ბლექსს“ ბრიტანეთიდან ირლანდიაში გადასვლის ნება არ მისცა.

კვირას დაგეგმილი დანარჩენი მატჩები დათქმული დროს გაიმართება. ინგლისი შოტლანდიას უმასპინძლებს, საფრანგეთი იტალიას ეწვევა. გადადებული მატჩები კი სავარაუდოდ აპრილის ბოლოს ან მაისის დასაწყისში ჩატარდება. ამ დროისთვის ბრიტანეთში საგრძნობლად დათბება, რაც „საქონლის ჭირის“ ლიკვიდაციას უწყობს ხელს.

ბაჩო სვანიძე

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

კროკოს ბიუროთა მისამართები

	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი	№2 ცენტრალური ფოსტამტი
	გლდანი	I სავაჭრო ცენტრი
თბილისი	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი №11	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
გორი	სტალინის ქუჩა №30	ჭადრაკის კლუბი
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა №21	ყოფილი სტალინის ქუჩა
	ერას ქუჩა №61	ყოფილი გორკის ქუჩა

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინარდი ავიაციას შეეკრა

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

იტალიელი საქმოსნის, ჯანკარლო მინარდის გუნდი ფორმულაში ყველაზე მაჩანჩალაა. სამეფო რბოლებში მონაწილეობის 15 წლის მანძილზე „მინარდის“ პილოტებს არათუ დიდი პრიზის მოგება, ერთი პოდიუმიც კი არ ღირსებიათ. მათი მიღწევა სამჯერ მეოთხე ადგილზე გასვლით შემოიფარგლება. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ჯიბეთხელი მეპატრონის საშუალოძალოვან ბოლიდებში ექსტრა კლასის მძღოლები არასოდეს მსხდარან.

შარშანაც ასე იყო — სუსტი ძრავა და გამოუცდელი მრბოლები. ამდენად, ნულოვანი შედეგი მოულოდნელობა არ ყოფილა — სულ ერთ სეზონნარბოლმა მარკ ჟენემ და დებიუტანტმა გასტონ მაცაკანემ მთელ ჩემპიონატში კინკილა ქულის მოპოვებაც ვერ შეძლეს. რა გასაკვირია, რომ ამის შემდეგ იტალიელთა გენერალურმა სპონსორმა, ესპანურმა ტელესაკომუნიკაციო ფირმა „ტელეფონიკამ“ გუნდს უგანა. „მინარდის“ მფლობელმა გაბრიელე რუმიმაც ზარალიან საჯინიბოზე გული აიცრუა და მისი თავიდან მოცილება გადაწყვიტა. მყიდველს კარგა ხანს, იანვრის ბოლომდე ეძებდნენ. სხვა გუნდები ამ დროს თითქმის ამთავრებდნენ ახალი ბოლიდების ტესტირებას, „მინარდიში“ კი ყველაფერი ჯერაც გაურკვეველი იყო — არც პატრონი ჩანდა, არც მანქანა და არც პილოტები.

გაკოტრება-დაშლის პირას მდგომ „პატარა სკუდერიას“ ხსნა, შეიძლება ითქვას, ჰაერიდან მოევლინა. „მინარდი“ რუმისგან თითქმის 50 მილიონ დოლარად შეიძინა „ევროპის საავიაციო გაერთიანების“ პრეზიდენტმა პოლ სტოდარტმა. სინიორ ჯანკარლოს სადღეისოდ აქციათა მხოლოდ 15 პროცენტი შერჩა, თუმცა მან გენერალური დირექტორის თანამდებობა შეინარჩუნა.

წარმოშობით ავსტრალიელი სტოდარტი ავტორბოლის ფანატიკური მოყვარულია. იგი რამდენიმე წელია, ფორმულა 3000-ის გუნდ „ეუროპენ რეისინგს“ ფლობს, ხოლო საკუთარ უმდიდრეს კოლექციაში ფორმულა 1-ის ორმოცამდე ისტორიული მოდელი აქვს და ხანდახან რომელიმეთი სეირნობს კიდეც. ერთი სიტყვით, პოლმა მშვენივრად იცის, თუ რა საქმეში დააბანდა ამხელა თანხა.

ახალმა ბოსმა ორიოდ დღეში „მინარდის“ უმთავრესი ფინანსური პრობლემები მოაგვარა. მართალია, პილოტები ამჯერადაც გამოუცდელები არიან — 19 წლის ფერნანდო ალონსო და სულ 12 ეტაპზე გამოსული ტარსო მარკეში, მაგრამ შეფი მაინც იმედიანადაა, გვეყო ბოლო ადგილების ტკეპნა, წლეულს ქულების მოპოვება უნდა დავიწყოთო.

„მინარდის“ წლევანდელი ძრავაც „ფორდის“ მოძველებული ვარიანტია, თუმცა გარკვეული საიმედო ცვლილებებით. კონკრეტულად კი, გაუმართლებს თუ არა სტოდარტსა და მის ბიჭებს, მალე შევიტყობთ.

გია ახალაძე

მთელი „მინარდის“ ერთი საფიქრალი: დავიძრათ ფსკერიდან!

მინარდი

გუნდი დაარსდა 1972 წელს
მფლობელი: პოლ სტოდარტი
გენერალური დირექტორი: ჯანკარლო მინარდი
ბოლიდი — 2001: „მინარდი RS01“
ძრავა: „ეუროპენ V10“
საბურავები: „მიშელინი“
ფორმულა 1-ში ასპარეზობს 1985 წლიდან
254 რბოლა; 28 ქულა
კონსტრუქტორთა თასზე საუკეთესო ადგილი — VII (1991)
ტესტ-პილოტი ანდრეა პიჩინი (იტალია)





ფერნანდო ალონსო
ესპანეთი

დაიბადა 1981 წლის 29 ივლისს ოვიედოში. ცხოვრობს იქვე
სიმაღლე 171 სმ, წონა 68 კგ
უცოლო
ფორმულა 1-ის დებიუტანტი
შარშან „მინარდის“ ტესტ-პილოტი იყო

FORMULA ONE Minardi

ტარსო მარკეში
ბრაზილია

დაიბადა 1976 წლის 19 იანვარს კურიბიტაში. ცხოვრობს რიო ნეგროში (ბრაზილია)
სიმაღლე 176 სმ, წონა 76 კგ
უცოლო
12 რბოლა, 0 ქულა
ასპარეზობდა „მინარდიში“ (1996, 1997, 2001).
შარშან „კარტის“ ჩემპიონატში დაიკავა 24-ე ადგილი (11 ქულა)

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

27 თებერვალი

ბოსტონი 7:4 ფინიქსი (4:2 2:1 1:1)
1:0 გორენი 11 (1), 2:0 ჟორდი 12 (5), 3:0 გერინი 14 (33), 3:1 კარნი 16 (2), 3:2 უილსონი 17 (14), 4:2 ელისონი 19 (25), 5:2 კულტანენი 32 (1), 6:2 ტორნტონი 34 (23), 6:3 ლუმე 35 (4), 6:4 უილსონი 50 (15), 7:4 მანი 59 (1)

ფილადელფია 2:3 მონრეალი (0:2 1:1 1:0)
0:1 რობიდასი 16 (6), 0:2 პეტროვი 20 (11), 1:2 პ. უაიტი 29 (8), 1:3 კილგერი 35 (13), 2:3 პრიმო 46 (27)

ატლანტა 1:1 კაროლინა (0:0 0:1 1:0 0:0)
0:1 ონილი 30 (31), 1:1 სტეიოსი 58 (8)

ნეშვილი 1:2 ლოს ანჯელესი (0:1 0:0 1:1)
0:1 რობიტაილი 11 (30), 1:1 რონინგი 53 (14), 1:2 პალფი 56 (29)

ოტავა 1:4 ბუფალო (0:0 1:3 0:1)
1:0 მაკიჩერნი 21 (22), 1:1 რასმუსენი 21 (10), 1:2 დიუმონი 25 (19), 1:3 დიუმონი 83 (20), 1:4 ციპლაკოვი 60 (6)

ვაშინგტონი 2:3 ჩიკაგო (1:1 1:1 0:1)
0:1 სალივანი 12 (30), 1:1 ხრისტიჩი 16 (12), 1:2 დაზე 22 (26), 2:2 ოუთსი 26 (11), 2:3 სალივანი 47 (31)

აილენდერსი 1:4 ნიუ ჯერსი (0:0 1:2 0:2)
0:1 ნემჩინოვი 29 (8), 1:1 კონოლი 31 (8), 1:2 მოგილნი 40 (32), 1:3 სტივენსონი 48 (7), 1:4 სტივენსონი 57 (8)

ეში დათვის ეშვს წამოეგო

შონ ბურკმა, ბოლოს და ბოლოს, დაიმსახურა უეინ გრეცკის ნდობა. ჯერ კიდევ მანამ, სანამ ფინიქსის თანამფლობელი გახდებოდა, „დიადს“ არაერთხელ განუცხადებია, რომ გუნდის სათავეში მისვლისთანავე გაფიცულ მეკარე ნიკოლაი ხაბიბულინთან კონტრაქტს გააფორმებდა. მაგრამ, მოგეხსენებათ, ფინიქსის გაყიდვის პროცესი გაჭიანაურდა, ამასობაში კი პირველ გოლკიპერად ქცეული ბურკი დროს ტყუილად არ კარგავდა. ხაბიბულინის არყოფნამ მას ბოლო შანსი მისცა და შონმაც გამოიყენა იგი — მრავალწლიანი ჩავარდნის შემდეგ ჩინებულად ათამაშდა. იმან, რომ ფინიქსი ამჟამად ლიგაში მესამეა გაშვებული გოლების რაოდენობით, გრეცკისაც შეაცვლევინა აზრი და მეკარის შრომაც დამსახურებულად დაფასდა — ბურკთან კონტრაქტი გაფორმდა, რომლის თანახმადაც იგი ადრინდელი 1,3 მილიონის ნაცვლად 3 მილიონს მიიღებს და ფინიქსში კიდევ სამ სეზონს დაჰყოფს. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამდენს სთავაზობდნენ გუნდის ყოფილი მესვეურები ხაბიბულინს, მაგრამ ჯიუტმა მეკარემ მეტი მოინდომა და ხახამშრალი დარჩა. თუმცა გრეცკის სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ იგი რუსს დაჰპირდა, ერთი კვირის განმავლობაში სხვა გუნდში გაგცვლიო.

„აღტაცებული ვარ გრეცკის ენერგიულობითა და შორსმჭვრეტელობით. ჯერ კიდევ დეკემბერში ოდნავად არ მეეჭვებოდა, რომ შონს გაყიდდნენ, მაგრამ უეინი გონივრულად მოიქცა და მეც ქედს ვიხრი მის წინაშე“ — ხაბიბულინის აგენტმა ჯეი გროსმანმა, მიუხედავად იმედგაცრუებისა, გრეცკისადმი ქების სიტყვები არ დაიშურა.

ცხადია, ყოველივე ამის შემდეგ ბურკს დასვენების საშუალება მიეცა და ბოსტონთან შეხვედრაში კარში რობერტ ეში ჩადგა. მაგრამ სათადარიგო მეკარე აშკარად ვერ გაუმკლავდა „დათვების“ ფორვარდებს. პლეი ოფში გასასვლელად მებრძოლმა მასპინძლებმა ბურკის არყოფნით მარჯვედ ისარგებლეს და პირველივე პერიოდში ოთხი შაიბა შეაგდეს. ამან ფინიქსის მწვრთნელი აიძულა, პირველივე შესვენებაზე ეში ბურკით შეეცვალა. თუმცა ბოსტონელებმა არც ძირითადი გოლკიპერი დაინდეს და დებიუტანტი იარნო კულტინენისა (პირველი გოლი ლიგაში) და ჯო ტორნტონის წყალობით ყველაფერს ნათელი მოჰფინეს.

ეს სამშაბათი სიურპრიზებით აღსავსე გამოდგა. საკმარისია ითქვას, რომ აღმოსავლეთის სამივე დივიზიონის ლიდერი დამარცხდა, თანაც სამივე საკუთარ მოედანზე.

თუმცა ერთი მატჩის შედეგი ასე თუ ისე მოსალოდნელი იყო. დომინიკ ჰაშეკი, რომელიც ორი წელია, ოტავას წარუმატებლად ეპაექრება, ამ სეზონში ამ გუნდთან შეხვედრებს განსაკუთრებული მონდომებით ატარებს. ამჯერადაც აჯობა „დომინატორმა“ (29 მოგერიება) თავის კანადელ კოლეგა პატრიკ ლალიმს და მატჩის ბედი განაპირობა.

ვაშინგტონისა და ფილადელფიის წარმატებას კი არავინ ელოდა. დედაქალაქელები, რომლებიც თებერვალში გამართულმა 12-მატჩიანმა წაუგებელმა სერიამ ამ თვის საუკეთესო გუნდად აქცია, მოულოდნელად ჩიკაგოს მედგარ წინააღმდეგობას წააწყდნენ. მატჩის გმირი კი სტივ სალივანი გახდა. გრიპით დაავადებული ჰოკეისტის ყინულზე გასვლა საეჭვო იყო, მაგრამ მან არათუ ითამაშა, ორი შაიბით ლომის წილიც შეიტანა მოგებაში, თანაც გამარჯვების გოლს თავად ჩაუყარა საფუძველი.

ფილადელფია კი ერთ-ერთი ლიდერის, სიმონ განიეს ტრავმამ აზარალა. კეიტ პრიმოსა და მარკ რეკისთან მისი შეამხანაგებით „მფრინავებმა“ შეუჩერებელი პირველი ტრიო შექმნეს, მაგრამ განიემ მხარი დაიშავა და სამი კვირით გამოეთიშა ჩემპიონატს. ჰოდა, სანამ მატჩის პირველ ნახევარში მწვრნელებს მის ადგილზე სხვადასხვა ფორვარდები გადაჰყავდათ, მონრეალი დაწინაურდა. მიუხედავად იმისა, რომ პირველი სამეული უგოლოდ არ დარჩა (პრიმოს სწორედ განიეს პოზიციაზე გამწესებული ერთ-ერთი თავდამსხმელი, რუსლან ფედოტენკო დაეხმარა), კანადელებმა უპირატესობა მაინც შეინარჩუნეს.

ფილადელფიელთა კონკურენტმა ატლანტის დივიზიონში, ნიუ ჯერსიმ კი ეს გარემოება თავის სასარგებლოდ გამოიყენა და აილენდერსის დამარცხების ხარჯზე ლიდერთან სხვაობა ქულამდე შეამცირა. კვლავ გამოირჩა ტრავმამოშუშებული ალექსანდრ მოგილნი, რომელმაც გამარჯვების გოლი გაიტანა.

ორიოდ სიტყვა ლოს ანჯელესზეც უნდა ითქვას. „მეფეები“ ჯერჯერობით პლეი ოფში ვერ ხვდებიან და დასავლეთში მერვე ადგილზე მყოფ ედმონტონს საბოლოოდ რომ არ ჩამორჩნენ, ქულათა მაქსიმუმის მოგროვება მართებთ. ლოსანჯელესელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი თავიანთი კაპიტნის, რობ ბლეიკის წასვლამაც ვერ გატეხა. პირიქით, ადრე მხოლოდ ლიდერის იმედზე მყოფნი და ამის გამო დაცვაში უნიათოდ მოთამაშენი, ბოლო მატჩებს ერთობ მობილიზებულად ატარებენ და ძველებურად ბევრ შაიბას აღარ უშვებენ. მართალია, ახლა უფრო საკუთარი კარის დაცვაზე ზრუნავენ და გოლებიც ნაკლები გააქვთ, მაგრამ დაცვაში ჯაფას მაინც შედეგი მოაქვს. ამჯერად „მეფეებმა“ ნეშვილს მოკრძალებული ანგარიშით, 2:1 მოუგეს, თანაც გადამწყვეტი შაიბა შეხვედრის დასრულებამდე 4 წუთით ადრე უმცირესობაში შეაგდეს. თუმცა მოგება მაინც მოგებაა და ქომაგებიც თავიანთი გუნდის შეცვლილ ტაქტიკას არ უნდა უჩიოდნენ.

მარიო ლემიე ახლა კი უეჭველად შეისვენებს. პიტსბურგის ლიდერს ძალიან უჭირს ზედიზედ ორ დღეს თამაში, ამიტომ შაბათს ვაშინგტონს ვერ დაუპირისპირდება, რადგან წინადღეს „პინგვინებს“ რეინჯერსთან პაექრობა ელით. სეზონის ბოლომდე პიტსბურგმა კიდევ სამი მატჩი უნდა ჩაატაროს ერთმანეთის მიყოლებით და ლემიე სამივე შემთხვევაში გამოტოვებს მეორე თამაშს.

სამველ ლარიბიანი



REUTERS

ბოსტონი — ფინიქსი. წამიც და ბოსტონელი ჯეისონ ელისონი რობერტ ეშს მეოთხე გოლს გაუტანს

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

მედისონ სკვერი სტუმარ იუინგსაც მოესწრო

27 თებერვალი

ნიუ იორკი 101:92 სიეტლი

ნიუ იორკი: ჰიუსტონი (24), კემბი (21 ქულა, 17 მოხსნა, 5 დაფარება), სპრიუელი (20), რაისი (20)

სიეტლი: ლუისი (20), ჰეიტონი (19)

სან ანტონიო 87:95 პორტლენდი

სან ანტონიო: ანდერსონი (20), დანკანი (16 ქულა, 13 მოხსნა), რობინსონი (16 ქულა, 10 მოხსნა)

პორტლენდი: ვოლესი (22), პიპენი (20), ვოლესი (18)

ტორონტო 101:89 კლივლენდი

ტორონტო: კარტერი (32), პეტერსონი (29)

კლივლენდი: მილერი (16), მიურეი (16)

მაიამი 103:95 ვაშინგტონი

მაიამი: გრანტი (26), ჰარდვეი (22), მეიერსონი (20)

ვაშინგტონი: რიჩმონდი (20), ვიტნი (18), ლეიტნერი (16)

საკრამენტო 106:93 კლიპერსი

(ძირითადი დრო 89:89)

საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (25), დივაცი (24 ქულა, 12 მოხსნა), ჰოლარდი (17 ქულა, 11 მოხსნა)

კლიპერსი: მაკინისი (33), ოდომი (16)

ვანკუვერი 112:116 დალასი

ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (36), ბიბი (26)

დალასი: ნოვიცკი (31), ნეში (22), ჰოვარდი (20), ფინლი (16 ქულა, 11 ასისტი)

მრავლისმნახველ ნიუიორკულ „მედისონ სკვერ გარდენს“, აბა, რით გააკვირვებ. ეს სახელგანთქმული დარბაზი ათეულობით წელია, ლამის ყოველდღიურად მასპინძლობს კალათბურთის, ჰოკეის თუ ჩოგბურთის მატჩებს, საკრივო ორთაბრძოლებს და შოუ-კონცერტებს, არც მაყურებელთა სიმცირეს უჩიოდა როდესმე. თუმც 27 თებერვალს იქ მაინც უჩვეულოდ დიდი აჟიოტაჟი შეინიშნებოდა. „ნიუ ორიკ ნიქსი“ რეგულარული სეზონის მორიგ შეხვედრაში „სიეტლ სუპერსონიქსს“ მასპინძლობდა, ამ გუნდის რიგებში კი ერთი კაცი თამაშობს, რომელიც მანამდე, 15 წლის განმავლობაში ლამის „ნიქსის“ სიმბოლო გახლდათ. ეს პატრიკ იუინგია, რომელიც ამ სეზონის დაწყებამდე თერმოტეტკაციანმა გაცვლამ (მათ შორის ჩვენებური ვოვა სტეფანიაც იყო) ატლანტიკის ოკეანის სანაპიროდან, ბობოქარი ნიუ იორკიდან ქვეყნის მეორე კიდეზე, წყნარი ოკეანის სანაპიროზე, ქალაქ სიეტლში გადაისროლა. 27 თებერვალს კი ნბა-ს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრი გაცვლის შემდეგ პირველად გამოჩნდა „მედისონ სკვერში“.

შეხვედრის დაწყებამდე ერთი საათით ადრე დარბაზში მისულ ოცი ათას კაცში ისეთებიც ერივნენ, რომელთაც ოღინდელი კერპის სხვა გუნდის მაისურაში ხილვამ ცრემლები აფრქვევინა. და საერთოდ, მაყურებელი გულთბილად შეეგება იუინგს, ხუთწუთიანი ოვაციაც კი მოუწყო, ნაცვლად ლანძღვა-გინების, სტვენის და შეურაცხმყოფელი ტრანსპარანტებისა, როგორც ჩვეულებრივ ასეთ შემთხვევებში ხდება-ხოლმე.

ასეთი დახვედრის საპასუხოდ ბებერმა პატრიკმა შეხვედრის დასაწყისში ლამის გულები გაუხეთქა „ნიქსის“ ქომაგებს, პირველ ხუთ წუთში სამჯერ მიიღო ფარქეშ ბურთი და სამჯერვე ყოფილი გუნდის კალათში მიუჩინა ადგილი, ხოლო თუ მისი თანაგუნდელები აცილებდნენ, ხსნიდა და ამ ხუთწუთეულში ოთხი მოხსნაც მიითვალა. ისე ჩანდა, გამოცდილი პატრიკი პირწმინდად დაჩაგრავდა წინა სეზონში თავის შემცვლელს, ან კი „ნიქსის“ ძირითად ცენტრ მარკუს კემბის, თუმც პირიქით კი მოხდა. კემბი დროულად გამოერკვა. მალე დაღალა 39 წელს მიტანებული და ათასგვარ ტრავმაგადატანილი პატრიკი და მერე ორივე ფარზე მის ჩაგვრას შეუდგა. საწყისი ხუთი წუთის შემდეგ იუინგმა კიდევ 27 წუთი ითამაშა და ამ ხნის განმავლობაში ზემოაღნიშნულ მონაგარს მხოლოდ ექვსი ქულა და ერთი მოხსნა მიუმატა, ამასთან, ორჯერ კემბიმ დაუფარა. „სიეტლმა“ კი რაღა გასკვირია, წააგო.

„ვიცოდი, რომ ხალხი თბილად შემხვდებოდა, მაგრამ ასეთ დახვედრას ნამდვილად არ ველოდი. მე კი, ვფიქრობ, ურიგოდ არ მითამაშია, თუმც წავაგეთ და კმაყოფილი სულაც არა ვარ“ — თქვა იუინგმა ნამატჩევს.

ერთ დროს, როცა „სან ანტონიო სფურზის“ თავდამსხმელი ტიმ დანკანი ყველას სჯობნიდა და მისი ბადალი ნბა-ში არ მოიძებნებოდა, ერთ-ერთ ჟურნალისტს მისთვის უკითხავს, ყველაზე უფრო ვის წინააღმდეგ გიჭირს თამაშიო. დანკანს პორტლენდელი რაშიდ ვოლესი დაუსახელებია. არადა, მაშინ ეს უკანასკნელი რიგითი კარგი ბიჭი გახლდათ და ნბა-ში მასზე უკეთესი თავდამსხმელებიც მოიძებნებოდნენ. დღესდღეობით ვოლესი სუპერვარსკვლავია და ბობოლა „პორტლენდის“ ლიდერიც გახლავთ. მასთან შეხვედრას ყოველთვის უფრთხოდა დანკანი და არცთუ უსაფუძვლოდ. ეს 27 თებერვლის მატჩმა კიდევ ერთხელ დაადასტურა. ტიმმა 16 ქულა კი გაახერხა, მაგრამ ლანდიკით ადევნებული ვოლესის გადამკიდემ 18 სროლიდან მხოლოდ 5 ჩააგდო, არადა, თამაშიდან ჩაგდებულ სროლებში ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი აქვს. ვოლესმა მატჩის დაწყებიდანვე თითქმის მთლიანად გამოთიშა თამაშიდან მეურვე, თუმც რამდენადაც გასკვირი უნდა იყოს, ამან ისევ მასპინძელთა წისქვილზე დაასხა წყალი. დანკანის შეჩერებით დაკავებული „პორტლენდი“ სხვა სანანტონიოელებს ნაკლებ ყურადღებას აქცევდა, რამაც დერიკ ანდერსონსა და დევიდ რობინსონს „ბლეიზერსის“ კალათისკენ გზა გაუკვალა და როცა პირველი მეოთხედი მიიწურა, ტაბლო 28:17 უჩვენებდა „სან ანტონიოს“ სასარგებლოდ. მასპინძლებმა მეორე მეოთხედშიც შეინარჩუნა 11-ქულიანი უპირატესობა — 49:38. ამ 49 ქულაში დანკანს მოკრძალებული, 7-ქულიანი წილი ედო.



REUTERS ნიუ იორკიდან

ნიუ იორკი — სიეტლი. ყოფილი ნიუიორკელი პატრიკ იუინგი ახლანდელ ნიუიორკელებს, მარკ ჯეკსონსა (№31) და კურტ ტომასს შორის

მეორე ნახევარში კი შეხვედრა სრულიად განსხვავებული სცენარით წარიმართა. მესამე მეოთხედის პირველ სამ წუთში ვოლესმა სამი საჯარიმო ჩააგდო, ორჯერად ტრიალში დანკანს გაექცა და „სფურზის“ უპირატესობიდან ორი ქულაღა დარჩა. იმ თორმეტწუთეულში ვოლესმა კიდევ ერთხელ აჯობა დანკანს, ერთხელაც სამქულიანი ჩაგდო და სულ სეზონში და ასევე კარიერაში სარეკორდო 29 ქულას მოუყარა თავი.

თავისი კარგი თამაში პეტერსონმა ძმაკაცის, მატენ კლივზის გარდაცვლილი ძმის, ჰუბერტის ხსოვნას მიუძღვნა, რომლის დაკრძალვასაც თამაშამდე სამი დღით ადრე ,,აესწრო. ეს სწორედ ის მატენ კლივზი გახლდათ, რომელიც დღესდღეობით „დეტროიტში“ თამაშობს, შარშან კი პეტერსონთან ერთად მიჩიგანის უნივერსიტეტის საკალათბურთო გუნდის ლიდერი გახლდათ და მიჩიგანმა სტუდენტურ ჩემპიონატში რომ იმარჯვა, სწორედ ამ დუეტის დამსახურებაა.

ირაკლი ფირაზვილი

დათუკაშვილმა ჩემპიონთა ლიგაშიც გაიტანა

მსოფლიოს პირველობასთან დაკავშირებული ორთვიანი შესვენების შემდეგ განახლდა ვაუ ხელბურთელთა ჩემპიონთა ლიგის გათამაშება. ასპარეზობას აგრძელებს რვა გუნდი, მათ შორის სადღეისოდ ორი ყველაზე ტიტულიანი — ლიგის ამჟამინდელი ჩემპიონი „ბარსელონა“ და ევროპის საკლუბო ჩემპიონი, ქალაქ პამპლონას „პორტლენდ სან ანტონიო“.

ორივე ესპანურმა კლუბმა ისე შთამბეჭდავად ჩაატარა პირველი მატჩები, რომ პრაქტიკულად უკვე გაინაღდა ნახევარფინალში გასვლა. განსაკუთრებით „ბარსამ“ იყოჩაღა — ხორვატიის ჩემპიონი ზაგრებში, თავისივე ქომაგების თვალწინ, საშვილიშვილოდ შარცხვინა. ამჯერადაც მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ ბარსელონელი მეგოლეები, სიდნეის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორები რაფაელ გუიხოსა (6) და ენრიკე მასიპი (5), ხოლო მიმდინარე სეზონის საუკეთესო დაცვამ რუსი ანდრეი შჩეპკინის მეთაურობით კვლავ იყოჩაღა და მხოლოდ 17 ბურთი გაუშვა. მასპინძელთაგან ყველაზე შედეგიანი კირილ ლაზაროვი (6) იყო.

„პორტლენდსაც“, გერმანიის ჩემპიონ „კილის“ მსგავსად, თავი ქუდში აქვს — განმეორებით შეხვედრაში ორნიშნა სასურველი სხვაობით რევანშის აღება მათი მეტოქეების ძალას აღემატება, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბრაგაში თამაში პორტუგალიელთა ნებისმიერი მოწინააღმდეგისთვის ურთულესი საქმეა. პამპლონელთა შორის, ტრადიციულად, მსოფლიოს ჩემპიონი ჯექსონ რიჩარდსონი და მიხაილ იაკიმოვიჩი გამოირჩეოდნენ. ბელარუსი ლეგიონერის ოთხმა ტყორცნამ მიზანს მიაღწია, გაფრანგებული ზანგი კი მართალია, მხოლოდ ორ გოლს დასჯერდა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, თანაგუნდელთა იერიშებს საზრიანად წარმართავდა.

იუგოსლავიის ჩემპიონი მხოლოდ მატჩის დასაწყისში გაუძლიანდა უცხოელი სუპერვარსკვლავებით გადაჭედილ „კილს“, მერე კი ბუნდესლიგის საუკეთესო კლუბის ტანძალამ თავდამსხმელებმა „ლოვჩენის“ დაცვა ადვილად გადათელეს. ნენად პეტუნიჩიმა ათი გოლი ჩაიწერა თავის ანგარიშზე, ნიკოლაი იაკობსენმა ერთით ნაკლები. სტუმართაგან ერთი ბურთი „ლოვჩენში“ მეორე იუგოსლავიური გუნდიდან „მეტალოპლასტიკიდან“ ახალგადასულმა ქართველმა ლეგიონერმა სერგო დათუკაშვილმა შეაგდო.

ყველაზე დაძაბული და საინტერესო „მონპელიე“ — „პივოვარნას“ შეხვედრა გამოდგა. ფრანგთა შემადგენლობაში მსოფლიოს ხუთი ჩემპიონია და, ცხადია, ამინდსაც ისინი ქმნიან. სწორედ მათი ნებისყოფისა და ოსტატობის წყალობით შეძლეს მასპინძლებმა უმძიმესი თამაშის მოგება. გადამწყვეტი გოლი ბოლო წუთზე ჟერომ ფერნანდესმა გაიტანა. ეს ლიგის ერთ-ერთი მთავარი ბომბარდირის მეშვიდე შედეგიანი ნატყორცნი იყო. ამდენჯერვე გამოიჩინა თავი სლოვენიელი მელუდეების გოლეადორმა ალეშ პაიოვიჩმა.

გია ახალაძე

ბაქ ხელბურთელთა ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

კილი (გერმანია) 35:22 ლოვჩენი (იუგოსლავია)

მონპელიე (საფრანგეთი) 24:23 პივოვარნა (სლოვენია)

გადელი (ხორვატია) 17:29 ბარსელონა (ესპანეთი)

პორტლენდ სან ანტონიო (ესპანეთი) 25:16 ბრაგა (პორტუგალია)

საპასუხო მატჩები 4 მარტს გაიმართება

კვირის მოთამაშე

შონ მარიონი

• ფინიქსი •

წინა კვირის საუკეთესო მოთამაშის გამოსავლენ გამოკითხვაში „ფინიქს სანზის“ 201-სანტიმეტრიანმა ფრთამ, შონ მარიონმა გაიმარჯვა. მარიონი მეორე სეზონს ატარებს ნბა-ში და ამ რეგულარულ ჩემპიონატში ისე მოუმატა, „ფინიქსის“ შეუცვლელ მოთამაშედ იქცა. იგი ნბა-ში ეგებ საუკეთესო ნახტომსაც ფლობს და სიმაღლის, წონისა და ამპლუის კვალობაზე საოცრად ბევრ ბურთს ხსნის. ნბა-ს მომხსნელთა პირველ ათეულში შედის. შონ მარიონმა წინა კვირას „ფინიქსს“ ოთხი სერიოზული მეტოქე დაამარცხებინა, აქედან სამი სტუმრად, თავად კი ამ ოთხ მატჩში საშუალოდ 21,8 ქულა და 13,5 მოხსნა მოიხვეჭა.

კვირა მარიონისთვის და „ფინიქსისთვის“ ორლანდოში იქაური „მეჯიქის“ 110:104 დამარცხებით დაიწყო. აქ მარიონმა 28 ქულა და 11 მოხსნა გაახერხა. მისი მომდევნო მსხვერპლი „მაიამი ჰითი“ გახლდათ, გუნდი, რომელსაც ნბა-ში ერთ-ერთ საუკეთესო დაცვა აქვს. „ფინიქსმა“ მაინც იოლად სძლია მას — 100:85, მარიონმა კი 16 ქულასთან ერთად 18 მოხსნაც მოინაგრა. უფრო ძნელი გამოდგა ასევე დაცვის მიმდევარ „ნიუ იორკთან“ ჭიდილი. შეხვედრის ბედი ოვერტაიმში გადაწყდა, „ფინიქსმა“ 88:84 იმარჯვა, კვირის რჩეულის მონაგარმა კი 19 ქულა და 11 მოხსნა შეადგინა, აქედან 4 ქულა და 3 მოხსნა მან ოვერტაიმში შესძინა თავისიანებს. დაბოლოს, სტუმრად სამი გამარჯვების შემდეგ „ფინიქსი“ შინ დაბრუნდა და მარიონის 24 ქულის და 14 მოხსნის წყალობით კიდევ ერთი ბობოლა, „იუტა ჯაზი“ 90:80 დაამარცხა.

კვირის სხვა გამორჩეული მოთამაშეები იყვნენ: ჰიუსტონელი მორის ტეილორი, ინდიანელი რეჯი მილერი, მილუოკელი რეი ალენი, ფილადელფიელი ალენ აივერსონი და სანანტონიოელი დერიკ ანდერსონი.

შონ მარიონს აქამდე ნბა-ს არც ერთი ჯილდო არ მოუგია და, ცხადია, ამ ტიტულის მოპოვება უნდა გახარებოდა, მაგრამ... როცა იგი კვირის მოთამაშედ დაასახელეს, საავადმყოფოში გონწასული იწვა და თავზე ექიმები ეხვეოდნენ. კვირის ბოლო, „იუტასთან“ თამაშის მიწურულს იგი მორიგი ბურთის მოსახსნელად ახტა. ხელთ კი იგდო, მაგრამ იატაკის ნაცვლად იუტელ ჯონ სტარქსზე დაეშვა, ჰაერში შეტრიალდა და თავით დაენარცხა ფიცარნაგს. გულწასული მარიონი მაშინვე ჰოსპიტალში გააქანეს და ძლივს მოაბრუნეს. დღესდღეობით იგი თავს უკეთ გრძნობს, თუმც როდის დაუბრუნდება ბურთსა და მოედანს, უცნობია.

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი

	მ	წ	%
ფილადელფია	42	16	72,4
მაიამი	34	23	59,6
ნიუ იორკი	33	23	58,9
ორლანდო	29	26	52,7
ბოსტონი	25	32	43,9
ნიუ ჯერსი	20	38	34,5
ვაშინგტონი	13	45	22,4

ცენტრალური დივიზიონი

მილუოკი	35	20	63,6
შარლოტი	31	26	54,4
ტორონტო	30	27	52,6
ინდიანა	25	29	46,3
კლივლენდი	22	33	40,0
დეტროიტი	21	35	37,5
ატლანტა	18	39	31,6
ჩიკაგო	9	46	16,4

დასავლეთის კონფერენცია

შუა დასავლეთის დივიზიონი

იუტა	38	17	69,1
სან ანტონიო	37	19	66,1
დალასი	36	22	62,1
მინესოტა	33	24	57,9
ჰიუსტონი	30	27	52,6
დენვერი	29	29	50,0
ვანკუვერი	18	40	31,0

წყნარი ოკეანის დივიზიონი

პორტლენდი	40	18	69,0
ლეიკერსი	37	18	67,3
საკრამენტო	37	18	67,3
ფინიქსი	34	21	61,8
სიეტლი	29	29	50,0
კლიპერსი	20	40	33,3
გოლდენ სტეიტი	16	41	28,1

სრულიად არასაიდუმლო ინფორმაცია გასკოსთვის გრიფით „ოჰო!“: პორტუგალიამ აზოტი გააძლიერა

ქვეყნის ზედიზედ სამგზის ვიცე-ჩემპიონი, რუსთაველის „აზოტი“ ბოლოდროინდელი ტრადიციის თანახმად კვლავაც ოქროს უმიზნებს. ფინალში სამჯერ ხელმოცარულ ოთარ ხმელიიძის გუნდს სარეკორდო ამბიცია არ განელებია და მიზნის მისაღწევად, ცხადია, წლეულსაც გაიბრძოლებს. აშთავითვე ჩანს, რომ „ბასკოს“ ბატონობის დაშლა საკმაოდ რთული საქმე იქნება, მაგრამ „აზოტში“ ბოლო ხანს განვითარებულმა მოვლენებმა რუსთაველთა გარეკორდების შანსი ერთიორად რომ გაზარდა, ისიც ფაქტია. როგორც მოსალოდნელი იყო, კლუბს რამაზ გოგობერიშვილი და ირაკლი ჯაფარიძე დაუბრუნდნენ. მოგეხსენებათ, „აზოტის“ ყოფილმა ლიდერებმა ბოლო ოთხი თვე პორტუგალიურ „ავეირუში“ გაატარეს. ეს კალათბურთელები რამდენიმე დღის წინ ჩამოვიდნენ საქართველოში და რაკი ფედერაციისგანაც თანხმობა მიიღეს, ამ სეზონს მშობლიურ „აზოტში“ ჩაამთავრებენ. გოგობერიშვილიცა და ჯაფარიძეც გუშინ ოთარ ხმელიიძეს ბათუმშიც იახლა „ბასკოსთან“ სათამაშოდ, მანამდე კი რამაზ გოგობერიშვილმა „სარბიელთან“ სასაუბროდაც მოიცალა...

რამაზ გოგობერიშვილი

— მეც და ირაკლიმაც „ავეირუსთან“ მოკლევადიანი კონტრაქტები გავაფორმეთ. ხელშეკრულების თანახმად, 23 აპრილამდე პორტუგალიურ კლუბში ვნდა დავრჩენილიყავით, მაგრამ სამშობლოში დაბრუნება გადავწყვიტეთ. ეს „ავეირუს“ ხელმძღვანელობასაც შევატყობინეთ და პრობლემა არ შეგვქმნია, კონტრაქტი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შევწყვიტეთ.

— კლუბის თავკაცები თქვენი წამოსვლის მიზეზს არ ჩაძიებიან?

— ცხადია, დაინტერესათ, თუ რატომ მივიღეთ ასეთი გადაწყვეტილება, მაგრამ მერე ავუხსენით, რომ საქართველოს ჩემპიონატის დებულების თანახმად აქაურ კლუბში თამაშის მსურველი სამშობლოში 28 თებერვლამდე უნდა დაბრუნებულიყო. ვფიქრობ, სწორედ მოვიქეცით, პორტუგალიაში რეგულარული ჩემპიონატი 31 მარტს მთავრდება, „ავეირუ“ რვა საუკეთესო კლუბს შორის ვერ ხვდებოდა და მომავალ სეზონამდე უქმად ყოფნა მოგვიწევდა. ახლა კი „აზოტში“ გავაგრძელებთ თამაშს, სხვათა შორის, ყოველივე წინდაწინვე გვქონდა დაგეგმილი.

— „ავეირუს“ თავკაცობას შეეძლო, უარიც ეთქვა თქვენს გამოშვებაზე...

— საკითხს იურიდიულად თუ მივუდგებით, ცხადია, უფლება ჰქონდათ ასე მოქცეულიყვნენ, მაგრამ, საბედნიეროდ, წინააღმდეგობა არ გაგვიწიეს.

— გამოდის, კარგად დაშორდით ერთმანეთს.

— ჩვეულებრივად. გამომგზავრებისას გვითხრეს, რომ თუ მომავალშიც დააპირებენ ჩვენთან საქმის დაჭერას, აუცილებლად დაგვიკავშირდებიან.

— „ავეირუ“ რა ვითარებაში დატოვეთ?

— ჩვენი კლუბი ბოლოსწინა ადგილზე იყო, პლეი ოფში თამაშის შანსი აღარ ჰქონდა. ყოველივეს მიუხედავად უმაღლეს ლიგაში, ალბათ, შეინარჩუნებენ ადგილს, რადგან ელიტას მხოლოდ ბოლოადგილოსანი ტოვებს.

— იქაურობას როგორ შეეგუეთ?

— ძალიან კარგად. თანაგუნდელებთან ნორმალური ურთიერთობა გვქონდა, პირობებიც მისაღები იყო ჩვენთვის. ეგაა, თამაში იმდენ ხანს არ გვიწევდა, რამდენიც ჩვენ გვსურდა.

— მაინც რატომ, დიდი კონკურენცია იყო?

— ჩემს პოზიციაზე, მსროლელად, ერთი ამერიკელი ჰყავდათ და ერთიც ადგილობრივი, რომელიც პორტუგალიის ნაკრების წევრია და წლების განმავლობაში „ავეირუში“ თამაშობს. მთავარი მწვრთნელი სამივეს თანაბრად გვათამაშებდა და მოედანზე იმდენ ხანს აღარ მიწევდა ყოფნა, როგორც „აზოტში“ ვიყავი ნაჩვევი.

— როგორ ფიქრობთ, სათამაშო პრაქტიკა ხომ არ მოგაკლდათ?

— შესაძლოა ასეცაა, მაგრამ ეს ჩემთვის პრობლემას არასოდეს წარმოადგენდა. „აზოტში“ ერთმანეთის უსიტყვოდ გვესმის და არა მგონია, ამ მხრივ რაიმე სირთულე შეიქმნას.

— მთლიანობაში როგორ შეაფასებდით პორტუგალიის ჩემპიონატის დონეს და პირადად თქვენ რა მოგცათ იქ თამაშმა?

— დონე საკმაოდ მაღალია, რაც, ალბათ, ლეგიონერების სიუხვითაა გამოწვეული. იქაურ ჩემპიონატში ძალიან ბევრი ამერიკელი, ესპანელი და იუგოსლავიელი კალათბურთელი გამოდის, რაც თამაშებს მეტად მიმზიდველს და საინტერესოს ხდის. მეტნაკლებად თანაბარი კლასის გუნდები არიან, ჩემპიონატში გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავთ, ნებისმიერ მეტოქესთან ბრძოლაა საჭირო. მაგალითად ისიც გამოდგება, რომ „ავეირუმ“, რომელიც ჩემპიონატში ძალიან ცუდად ასპარეზობს, თასის გათამაშებაში ნახევარფინალამდე გააღწია.

ვფიქრობ, პორტუგალიაში გატარებული დრო ჩემს შემდგომ კარიერაზეც დადებით გავლენას მოახდენს. სხვა თუ არაფერი, ყოველდღე ორჯერადი ვარჯიშები გვქონდა, პირობები კი მართლაც საუკეთესო იყო, რასაც აქ მოკლებულნი ვართ.

— თქვენმა სამშობლოში დაბრუნებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ „აზოტთან“ ერთად საქართველოს ჩემპიონობას უმთავრეს მიზნად ისახავთ...

— ბევრჯერ მოგვეცა გაჩემპიონების შანსი, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სურვილი დღემდე განუხორციელებელია ჩვენთვის. ცხადია, წლეულსაც ოქროსთვის ვიბრძოლებთ და შევეცდებით, ახლა მაინც მივაღწიოთ საწადელს. სადღეისოდ „აზოტს“ საამისო პოტენცია ნამდვილად გააჩნია: ადრინდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაძლიერდა გუნდი, ბევრი კარგი მოთამაშე დავიმატეთ, სკამის სიმოკლესაც აღარ ვუჩივით.

— როგორ ფიქრობთ, ფინალში სამჯერვე რატომ მოეცარა ხელი „აზოტს“?

— ჩემი გუნდის ყველაზე დიდ ნაკლად ზედმეტ ემოციურობას მივიჩნევ. ფინალში ყოველთვის გვდალატობს ნერვები, თუმც არც იმის უთქმელობა იქნება, რომ ჩვენი ვნებათაღელვა მსაჯთა ქმედებიდან გამომდინარეობდა. ყოველივე ჩემი გუნდის თითოეულ წევრს აქვს შეგნებული, მაგრამ ძნელია, მიკერძოებული მსაჯობის შემყურემ მოედანზე ნერვები მოთოკო.

— წლეულს ვინ მიგაჩნიათ საჩემპიონო დავაში „აზოტის“ უმთავრეს მოცილედ?

— შარშანდელის მსგავსად, ჩემპიონობის ყველაზე კარგი შანსი ჩვენთან ერთად ახლაც „ბასკოს“ და სტუ-ს აქვს. ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს „მაკაბიც“. უმთავრესი ბრძოლები, ალბათ, სწორედ ამ გუნდებთან ექნება „აზოტს“.

— შეუძლებელია, ნაკრებზეც არ დაგეკითხოთ. ევრო 2003-ის საკვალიფიკაციო ციკლში კენჭისყრამ მეტოქეებად ბულგარეთი, ბელარუსი და აზერბაიჯანი გვარგუნა. რა შანსები აქვს ჩვენს ეროვნულ გუნდს?

— ამ ჯგუფიდანაც თუ ვერ გავაღწიეთ მომდევნო ეტაპზე, სირცხვილი იქნება. ამ საკითხზე სხვას არაფერს ვიტყვი.

გიორგი გიკაშვილი

საპორტას თასი

მეოთხედფინალი. პირველი მატჩები. 27 თებერვალი

კერავნოსი (კვიპროსი) 69:74 პამესა (ესპანეთი)

კერავნოსი: ანასტასიადესი (5), ბარეტი (17), დოზიე (25), ფლორენტი, ფოულკსი (8), კარაიანისი, კონტომიტროსი (2), კორონიდესი (8), სტილიანიდესი (4), ტრისოკა

პამესა: ალსტონი (20), ალვარესი (8), ბურგოსი (2), დიურამი (5), ჰოპკინსი (10), ლუენგო (10), მალუენდა (18), მილერა (1), როდილია

მარსი (საბერძნეთი) 102:82 ტელეკომი (გერმანია)

მარსი: ხარლამპიდისი, ევტიმოვი (12), ფალეკასი (11), კარაპლისი (4), მარმარინოსი (10), მასლარინოსი (30), ნიკოლაიდისი (4), ოლივერი (26), ვურჯუმისი (5)

ტელეკომი: ბეეხუმი (18), ბურკი (3), იოსიპოვიჩი (7), კელეჩევიჩი (18), მაზიკი (13), მილერი (19), პერიჩა (4), პრატესი

შალონი (საფრანგეთი) 65:54 ანვილი (პოლონეთი)

შალონი: გიფა (8), გულიაში (18), ჰეი (6), ჯეკსონი (9), ლი (1), ოუენსი (11), ტომიჩი (9), ვესპასიენი (3)

ანვილი: გრიშუკი (2), იანკოვსკი, კისურინი (8), კრსტიჩი (19), მარცელიჩი (3), მუტავჯიჩი, პრავიცა (11), შჩესნიაკი (6), ტომაშევსკი (5)

ანტვერპენი (ბელგია) 62:61 უნიძსი (რუსეთი)

ანტვერპენი: ბაბიჩი, გოტჰარტი (2), ჰილი (15), ლორიდონი (3), მოორსი (8), ოკონელი (20), სტონეროოკი (14)

უნიქსი: გრაჩოვი (10), იუდინი (13), კორნეევი (2), კუბრაკოვი, მიკსი (10), პაშუტინი (10), სამოილენკო (7), ვისმი, იაილო (9)

სპასუხო მატჩები გაიმართება 6 მარტს

ტაი-ბრეიქი

ბურთი დოლარებისაკენ

პირველობის ალიანსი

მსოფლიოს აწ უკვე ყოფილ პირველ ჩოგან მარატ საფინს (ორშაბათიდან მას კლასიფიკაციაში გუსტავო კუერტენმა გადაუსწრო) მარტიდან ახალი, მასზე არანაკლებ სახელგანთქმული მწვრთნელი, მათს ვილანდერი ეყოლება.

„იქითა კვირიდან მოყოლებული აშშ-ში რამდენიმე ტურნირზე მარატს ვილანდერი გაწვრთნის — განაცხადა ორიოდ დღის წინ რუსეთის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა და დევისის თასის კაპიტანმა შამილ ტარპიშევმა — მათ ჯერ კონტრაქტისთვის ხელი არ მოუწერიათ, სურთ ნახონ, საქმეები როგორ აეწყობა. მაგრამ თუ ყველაფერი კარგად იქნება, ეს შეიძლება ხანგრძლივ თანამშრომლობაში გადაიზარდოს“.

ფიცხი რუსი და საოცრად თავდაჭერილი, დისციპლინირებული შვედი ხასიათით მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. რკინისებური ნერვების პატრონი ვილანდერს კარიერაში შვიდი დიდი სლემის ტურნირი მოუგია. მათგან სამი — ავსტრალიის, საფრანგეთისა და აშშ-ის ღია პირველობები ერთ სეზონში, 1988-ში (ამის შემდეგ ეს არავის მოუხერხებია).

იმავე წელს სკანდინავიელი მსოფლიოს პირველი ჩოგანიც გახდა, მაგრამ, მისივე თქმით, კარიერაში ყველა ამბიციის დაკმაყოფილებამ და ლიდერობისთვის საჭირო მუხლჩაუხრელმა შრომამ თამაშის სურვილი დაუკარგა. 90-იანებში ვილანდერი უფრო გასართობად, არასერიოზულად და დიდი წარმატების გარეშე ასპარეზობდა, 1997-ში კოკაინის ხმარების გამო (რასაც ბოლომდე უარობდა და სასამართლოშიც დავობდა) ტურიდან 3 თვით მოკვეთეს და კარიერაც იქვე დაასრულა.

„დარწმუნებული ვარ, ვილანდერი, რომელმაც ჩოგბურთში, როგორც მოთამაშემ, ამდენს მიაღწია, მარატს ასწავლის, როგორ მოთოკოს ნერვები. მის გარდა ინდიან უელსსა და კი ბისკეინში საფინს ალექსადრ ვოლკოვიც გაჰყვება. იმედია, ორნი ერთად მას სწორ გზაზე დააყენებენ“ — დაუმატა ტარპიშევმა.

შარშან საფინმა ოთხი მწვრთნელი გამოიცვალა. აპრილში ის დიდი ხნის მოძღვარს, ესპანელ რაფაელ მენსუას დაშორდა და დახმარება თანამემამულე ანდრეი ჩესნოკოვს სთხოვა. წარმატებული თანამშრომლობის მიუხედავად, ივნისში ჩესნოკოვი ლეგენდარულმა ინგლისელმა ტონი პიკარდმა შეცვალა, აგვისტოში კი ზემოხსენებული ვოლკოვის დროც დადგა. ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობით (თუმცა საფინი ვოლკოვს მწვრთნელს კი არა, მეგობარს უწოდებდა) რუსმა კარიერაში პირველი მასტერსის სერიის ტურნირი მოიგო ტორონტოში და მოგვიანებით აშშ-ის ღია პირველობის ფინალში პიტ სამპრასი გაანადგურა.

ოქტომბერში ძველ პოსტზე დროებით მენსუა დაბრუნდა, თუმცა ახალი სეზონის დასაწყისიდან საფინი ისევ მარტო დარჩა და ჯერჯერობით ხშირი წაგებების გარდა აღარაფრით გამოუჩენია თავი.

„უკვე რამდენიმე კვირაა, არაფერი გამომდის და რატომ, თავად ვერ ვხვდები. ამაზე მათთან ვისაუბრე და ვნახოთ, რისი გამოსწორება შეიძლება — აღნიშნა გუშინ თავად საფინმა — უამრავ მიზეზი შემიძლია დავასახელეო, რის გამოც ავირჩიე იგი მწვრთნელად. მათსი ჭკვიანი კაცია და დარწმუნებული ვარ, ძალიან დამეხმარება. პრობლემა ის არის, რომ მას ოჯახი ჰყავს და ფული არ სჭირდება, თუმცა მოგზაურობის წინააღმდეგი არ არის“.

რუსის აზრით, კიდევ ერთი დაბრკოლება ენობრივი განსხვავება იქნება: „ალბათ, ერთმანეთის წესიერად გასაცნობად, იმისთვის, რომ ერთიმეორეს ერთ სიტყვაზე გავუგოთ, ორი-სამი თვე დაგჭირდება. ის შვედურად ფიქრობს, მე — რუსულად, ლაპარაკი კი ინგლისურად მოგვიხდება“.

ანას ბზარი

ანა კურნიკოვას კარიერის პირველი ტიტულის მოპოვებამდე, ეტყობა, კიდევ კარგა ხანს მოუწევს ლოდინი. როგორც კვირის დასაწყისში გახდა ცნობილი, 19 წლის რუსს მარცხენა ფეხის ძვალი გაებზარა და დაახლოებით ერთი თვე ვერსად იასპარეზებს.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩოგბურთის სექს-სიმბოლო უეჭველად გამოტოვებს აკაპულკოსა და ინდიან უელსის ტურნირებს და შეიძლება „მშობლიური“ მაიამის „ერიქსონის“ პირველობისთვისაც ვერ მომჯობინდეს.

არაფერს იუწყებიან, როდის და როგორ დაშავდა რუსი, თუმცა ერთი ფაქტია — ის ტყუილად დროს არ კარგავს და ბოლო ხანებში ბოიფრენდ ჰოკეისტ სერგეი ფიოდოროვის მატჩებს ხშირად ესწრება.

დოლარები ბავშვებს

ამერიკელი ჩოგბურთელი ჟან-მაიკლ გემბილი წლეულს საქველმოქმედო მიზნებისთვის მწვანეების საკმაო რაოდენობას გაიღებს. 23 წლის უიმბლდონის მეოთხედფინალისტი ATP-ის ფონდის — „ბავშვები პირველად“ თავმჯდომარედ დაინიშნა. სეზონის მანძილზე თითოეული მოწოდებული ეისისთვის ის 20, ხოლო თითოეული მოგებული ტურნირისთვის 5000 დოლარს გადაიხდის.

გემბილის გარდა სხვადასხვა წლებში საქველმოქმედო წამოწყებებისთვის ისეთ ვარსკვლავებს უთავაკიათ, როგორიც სტეფან ედბერგი, ტომ ჰენმანი, გუსტავო კუერტენი, გორან ივანიშევიჩი და პიტ სამპრასი არიან. 1990-დან მოყოლებული კი ATP-იმ სულ 24 მილიონ დოლარზე მეტი გაიღო კეთილშობილური საქმეებისთვის.

იგივე მარად და მარად

ამერიკელი ვარსკვლავების პროტესტის მიუხედავად, კაცთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატის, დევისის თასის ფორმატი უცვლელი დარჩება. პიტ სამპრასს, ანდრე აგასისა და ჯონ მაკინროის ბოლო თვეებში არაერთხელ უთქვამთ, რომ საჭიროა, გათამაშება მხოლოდ ორ წელიწადში ერთხელ და ფეხბურთის მსოფლიოს ჩემპიონატის მსგავსად ერთ ქვეყანაში გაიმართოს, თუმცა ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციაში (ITF) სხვაგვარად ფიქრობენ.

„დიდ პატივს ვცემთ ქვეყანას, რომელიც ამდენს აკრიტიკებს დევისის თასს. აშშ მსოფლიოს ჩოგბურთში პირველია, მაგრამ ჩვენ სხვა 199 ქვეყანაზეც უნდა ვიზრუნოთ. თუ სხვები ჯერაც უჭერენ მხარს არსებულ ფორმატს და ეს ასეცაა, მათი აზრი არანაკლებ უნდა გავითვალისწინოთ“ — განაცხადა ITF-ის პრეზიდენტმა, იტალიელმა ფრანჩესკო რიჩი ბიტიმ.

„აგასი და სამპრასი დიდი ჩოგბურთელები არიან, მაგრამ ისინი ამჟამად თამაშის რაოდენობაზე მეტად ხარისხზე ფიქრობენ. ამით იმის თქმა მინდოდა, რომ ისინი ბერდებიან“ — ღიმილით დაუმატა პრეზიდენტმა.

იტალიელს გაბედული განცხადების გაკეთების საფუძველი ახალი მსხვილი სპონსორის გამოჩენამაც მისცა. ფრანგული ბანკი „BNP PARIBAS“, რომელიც როლან გაროსის, პარიზისა და ნიცის ტურნირების ფინანსური მფარველიცაა, თანახმაა, დევისის თასზე ექვსი წლის მანძილზე დაახლოებით 10 მილიონი დოლარი დაბანდოს.

აგასის პასუხი მალე გაისმა. „დევისის თასზე 12 წლის განმავლობაში ვიასპარეზე. ვფიქრობ, ეს საკმარისია და დროა, ადგილი ახალგაზრდა თაობას დავუთმო. ალბათ, გასაგებად ვთქვი, რომ ქვეყნის ღირსებას ამ გათამაშებაში აღარასოდეს დავიცავ“.

ავთანდილ სვანიძე



REUTERS ნიუ იორკიდან

მარად 33

თხუთმეტი წელიწადი და ბრწყინვალე კარიერა შეალია „ნიუ იორკ ნიკერბოკერსს“ პატრიკ იუინგმა და ამ სეზონის წინღა გადაბარგდა „სიეტლში“. მისი ახალი გუნდის ყოველი სტუმრობა ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენში“ ტკბილ მოგონებებს აღუძრავს „ნიქსის“ გულშემატკივრებს, რომელსაც პატრიკის 33-ნომრიანი მაისურიც ჩაუცვამთ და გულისამაყუჩებელი პლაკატიც გამოუტანიათ: „გთხოვთ, დაბრუნდი, პატრიკ! ძალიან გვაკლიხარ. მარად 33“. იუინგის ძველმა გუნდმა 101:92 მოუგო ახალს.

REUTERS ბელგიურნიდან

ცოტაც და...

მოახლოებულ უქმეებზე ფორმულა 1-ის სეზონი იხსნება. მელბურნში, ალბერტ პარკის ტრეკზე ავსტრალიის დიდი პრიზი გათამაშდება. ყოველი მრბოლი თავისებურად ელის უქმეებს, სხვადასხვა სპორტში გავარჯიშებით ცდილობს დროის გატარებას, „ფერარის“ ლიდერი მიხაელ შუმახერი სამხრეთ მელბურნის რომელიღაც გუნდთან ერთად თამაშობს ფეხბურთს, რაც სულაც არ არის მისთვის უჩვეული. იაგუარელი ედი ირვინი განთქმულ ბონდი ბიჩზე გასულა და იქ მაშველთა ნავით ანცობს მეგობრებთან ერთად. ფორმულას ახალბედა ფინალი, „ზაუბერში“ ჩარიცხული კიმი რაიკონენი კი ყველაზე თავზეხელაღებული გამოდგა — ავსტრალიის საჰაერო ძალების თვითმფრინავის საჭესთან ზის და მელბურნს დასტრიალებს.

REUTERS სიდნეიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

REUTERS ბელგიურნიდან

სერ დონალდ ბრედმენის სიკვდილი



REUTERS ბომბეიდან

სერ დონალდ ბრედმენი 92 წლისა აღესრულა ადელაიდაში, საკუთარ სახლში — დაიძინა და აღარ გამოუღვიძია. ავსტრალიელი ხალხის მიერ საუკუნის კაცად აღიარებული სერ დონალდი კრიკეტისათვის იგივეა, რაც ფეხბურთისთვის პელე, ხოლო კალათბურთისთვის მაიკლ ჯორდანი.

სწორედ დღეს, ბომბეიში დაწყება „ჰიუზ ენდ ლუდგრიუვის“ მიერ მოწყობილი აუქციონი, რომელზედაც გაიყიდება ბრედმენის ავტოგრაფიანი ფოტოები, მისი ტაფელები და სამოსი, 1993 წელს გადაღებულ ფოტოზე კი თავად გარდაცვლილს ხედავთ, რომელიც ადელაიდის ბიბლიოთეკაში გამოფენილ მის განთქმულ ტაფელებს სინჯავს.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი პატარა ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე **კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავთ გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge